# საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 22 აპრილი, 2010 წელი.

№74 (6440)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## ნაციონალური გუნდის რღვევის პროცესი იწყება?

**დამშვიდების საბაბს ძველი გაკვეთილები მაინც არ გვაძლევს**

*ეჭვები თუ გამართლდა, ალბათ, ეს იქნება გარდაუვალი დასაწყისი ხელისუფლების რღვევის დასაწყისისა. ამის მაგალითი იყო მოქალაქეთა კავშირი, სადაც მამათა და შვილთა შორის გამართული ორთაბრძოლა სრულიად ახალი სახელის, მაგრამ გენეტიკურად იმავე სისხლის – ნაციონალური გუნდის გამარჯვებით დამთავრდა.*



2

## ერმა ყველაფერი უნდა იღონოს, რათა მოამზადოს ღირსეული სპეციალისტები და ისინი თავად აირჩიოს ერის წინამძღოლებად



4

## ტერიტორიების დაკარგვა გრძელდება

2

## გაუდაბნოებასთან საბრძოლველად ტყეების გაშენება დაიწყეს



6

## ლეიბორისტებმა ისრაელის ხელისუფლებას მიმართეს...



3

## „რომ შემექმლოს, დედამიწას დაბადების დღეს გადავუხდიდი“



11

## თბილისი ემზადება ეროვნული კერძის სავაჭრო მარკის დასაცავად



8

## ვინ იყო სსრ კავშირის მოკავშირე მეორე მსოფლიო ომში

7



მიმართვა

# ტერიტორიების დაკარგვა გრძელდება

**ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ნინო ბურჯანაძის პარტია „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო“ არ მონაწილეობს. ის ხელისუფლებას არ ენდობა და ბრძოლის სხვა მეთოდებს ანიჭებს უპირატესობას. ამ მეთოდებში ერთიანდება საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მიქცევა საქართველოში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების მიმართ. ამიტომ „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო“ ტერიტორიების დაკარგვის პროცესის შეჩერებაში დახმარებას უცხოელ კოლეგებს სთხოვს.**



— კიდევ ერთხელ მივმართავთ ჩვენს ქვეყანაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებს — ვინაიდან საქართველოს მოსახლეობას და ჩვენ, ოპოზიციას ამ პრობლემის მოსაგვარებლად რესურსი არ გაგვაჩნია, ძალისხმევა არ დაიშურონ, რათა შეჩერდეს საქართველოს ტერიტორიების დაკარგვის პროცესი, — ნათქვამია მოძრაობის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

მათი ინფორმაციით, 18 აპრილს რადიო „თავისუფლებისთვის“ მიცემულ ინტერვიუში **საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის მთავარმა კონსულტანტმა სასაზღვრო საკითხებში ივერი გელაშვილმა ღიად განაცხადა, რომ მამისონის უღელტეხილს რუსული და ოსური მხარე აკონტროლებენ.**

„დემოკრატიული მოძრაობის“ განცხადებაში დამოწმებულია ნაწყვეტი ივერი მელაშვილის ინტერვიუდან, რომელიც აღნიშნავს, რომ მამისონის უღელტეხილზე საგუშაგო რუსმა და ოსმა სამხედროებმა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს გაანადგურეს და შემდეგ თავად დაიკავეს.

„სასპეკულაციო ნამდვილად არაფერია. საომარი მოქმედებები იყო და ამოვიდნენ. ახლა იქ დგანან და უფრო აქეთაც არიან გადმოსული. ე. წ. სამხრეთ ოსეთში დგას რუსი და შესაბამისად, დგას იქაც, — მამისონზე. ისინი თავს იმართლებენ ყველანაირად. მამისონზეც იგივე ვითარებაა“, — აცხადებს საგარეო საქმეთა მინისტრის წარმომადგენელი.

ბურჯანაძის პარტიაში ცინიკურ ტყუილს უწოდებენ ინფორმაციას, რომ თითქოს რუსმა და ოსმა მესაზღვრეებმა მამისონის უღელტეხილი 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაიკავეს.

**— სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ 2008 წლის ნოემბრამდე მამისონის უღელტეხილს ჩვენი, ქართველი მესაზღვრეები აკონტროლებდნენ. ქვეყნის საგარეო უწყების წარმომადგენლის მხრიდან მამისონის უღელტეხილის დაკარგვის აღიარება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ხელისუფლების შესანარჩუნებლად მთავრობა არა მარტო ნებისმიერი სახის ცინიკურ ტყუილს ამბობს, არამედ თმობს საქართველოს ტერიტორიებს, — ნათქვამია მიმართვაში.**

როგორც პარტიაში ირწმუნებიან, ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს ის გარემოებაც, რომ გაურკვეველი და უკონტროლო მდგომარეობა არა მარტო რუსეთის საზღვარზეა, საზღვრისპირა სოფლების მოსახლეობა ფაქტობრივად ბედის ანაბარაა მიტოვებული. არ არსებობს მათი დაცვის არანაირი მექანიზმი, რაც ამ სფეროში არსებულ არაპროფესიონალიზმს ცხადყოფს.

„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ განცხადებებსა და მიმართვებს ჯერჯერობით არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაციისა თუ ქვეყნის დაინტერესება არ გამოუწვევია.

**ანა წიწილაშვილი**



დაპირისპირება

**ერთი კვირაც არ გასულა მას შემდეგ, რაც „ალიანსი საქართველოსთვის“ აქტიურმა წარმომადგენელმა დავით ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ ხელისუფლების შიგნით სერიოზული დაპირისპირება არ არის. „მე ნაკლებად მჯერა იქ შიდა დაპირისპირებისა. კარგად ვიცნობ იმ ხალხს, რომელსაც დღეს ძალაუფლება აქვს. კარგად ვიცნობ ყველა მათგანს, დიდი ხნის განმავლობაში ერთად ვმუშაობდით. რა თქმა უნდა, ნაცმოძრაობაში არის ნაწილი, რომელსაც მმართველი ჯგუფი არ მოსწონს, ასეთი სულ 4-5 ადამიანია და მათ შორის სერიოზულ დაპირისპირებაზე ლაპარაკი სასაცილოც კი მგონია. ჭორები გამიგია, მაგრამ არ მჯერა მათივე ხასიათიდან და იმ ურთიერთობიდან გამომდინარე, რაც მათ შორის არსებობს“, — აცხადებს რესპუბლიკელი ზურაბიშვილი.**

# ნაციონალური გუნდის რღვევის პროცესი იწყება?

## დამშვიდების საბაბს ძველი გაკვეთილები მაინც არ გვაძლევს



მაგრამ გავიდა რამდენიმე დღე, ხოლო ასევე ალიანსელი, თუმცა ამჯერად მემარჯვენე მამუკა კაციტაძე დაჟინებით ამტკიცებს, რომ ხელისუფლებაში დაპირისპირება აშკარაა, რაც უფრო თვალსაჩინო 30 აპრილისთვის გახდება. იმას, აქვს თუ არა საფუძველი ასეთი ეჭვის გაჩენას, ისიც ადასტურებს, რომ ხელისუფლება მაქსიმალურად აჭიანურებს საკუთარი მერობის კანდიდატის დასახელებას.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ გასული წლის აქციების ჩასაცხრობად, უფრო სწორად, უცხოელებისთვის საჩვენებლად, ხელისუფლებამ იძულებით დათმო პოზიციები და მერის პირდაპირი წესით არჩევას დათანხმდა. მაგრამ ასევე კარგად ესმით პრეზიდენტსა და მის გარემოცვას, როგორი საშიში შეიძლება გახდეს ხელისუფლებისთვის არჩეული მერი. ეს არის გარკვეული საფრთხე, რომელიც შეიძლება შექმნას არა თუ ოპოზიციის რიგებიდან გამარჯვებულმა მერმა, არამედ თავად ნაციონალთა დიდი გუნდიდან არჩეულმა ფავორიტმაც.

გიგი უგულავა საშიშია! მით უფრო, რომ თბილისის მერისა და შინაგან საქმეთა მინისტრის გუნდის დაპირისპირებაზე არაერთხელ მიანიშნეს საზოგადოებას, თუმცა კი ეს აზრი საფუძველშივე ქრებოდა ნაციონალთა ერთობლივი თამაშის წესებიდან გამომდინარე. რამდენიმე დღის წინათ, პოლიციელებმა დააკავეს კუდ-ის შეფის ერეკლე კოდუას ცოლისძმა და სასწრაფოდ ორთვიანი პატიმრობა მიუსაჯეს. მასთან ერთად იყო დავით კეზერაშვილის უახლოესი მეგობარი დავით ბენიძე, რომელსაც ასევე წინასწარი პატიმრობა მიუსაჯეს. ამის შემდეგ მედიის საშუალებები უკვე აქტიურად ალაპარაკდნენ შიდასახელისუფლებო ვნებათაღელვაზე.

კაციტაძის მტკიცებით, ერთ მხარეს არის ვანო მერაბიშვილის გუნდი, რომელიც მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროთი არ შემოიფარგლება და სხვადასხვა საჯარო დაწესებულებაში აქვს ფესვები გადგმული, ხოლო მეორე მხარეს არის „თავისუფლების ინსტიტუტი“, სადაც რამდენიმე გავლენიანი ადამიანის სახელი იკითხება — ლევან რამიშვილი, გიგა ბოკერია... სწორედ მათი რჩეულია გიგი უგულავა. ეს ჯგუფი ბოლო დროს მერაბიშვილის გუნდის წევრთა გადმობირებაზეც მუშაობდა. ასეთი ორი ძლიერი ფიგურა უკვე აშკარად გამოკვეთილია. ერთი იყო დავით კეზერაშვილი, რომელიც ფინანსურ საყრდენს წარმოადგენდა ხელისუფლებისთვის, ხოლო მეორეა — ერეკლე კოდუა, რომელსაც გაუბედეს და საყვარელი ცოლის ძმა — მიშა ქორქოლიანი ციხეში ჩაუყუდეს. ერთ მუშტად შეკრული ნაციონალური გუნდისთვის, როგორც წესი, ასეთი მანევრები დამახასიათებელი არ არის, მხოლოდ ერთი გამონაკლისის გარდა: ერჩიან მას, ვისი გაწირვაც ემეტებათ. კოდუას ცოლისძმის დაჭერისა და გახმაურების ფაქტი, მართლაც რომ არ არის ჩვეულებრივი ამბავი.

**„საგულდაგულოდ მალავდა ხელისუფლება, მაგრამ უკრაინის ცნობილი მოვლენების შემდეგ ვანო მერაბიშვილის კაბინეტში დაპირისპირება მოხდა მასსა და ერეკლე კოდუას შორის, რასაც ბაჩო ახალაია და კიდევ ერთი ადამიანი ესწრებოდა, — აღნიშნავს ერთ-ერთ ინტერვიუში მამუკა კაციტაძე, — ორ დღეში ეს ინფორმაცია გარეთ გამოვიდა, პირდაპირ გეტყვით — მე ეს პროკურატურიდან გავიგე“.**

რის მიღწევას ცდილობს ვანო მერაბიშვილი საკუთარი გუნდის გაძლიერებით? ამის პასუხად ორი ვარიანტი არსებობს: პრეზიდენტის უერთგულესი ქვეშევრდომია, ან თავად იმზადებს ტრამპლინს პრეზიდენტობისთვის. სასწაულებრივადაც რომ მოვახერხოთ კითხვის დასმა შინაგან საქმეთა მინისტრისთვის, ვფიქრობ, პასუხი არც ერთ შემთხვევაში გულწრფელი არ იქნება. ამ ეტაპზე კი მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ მერაბიშვილის პოლიტიკური ალღოდან გამომდინარე, მან იცის, რომ არჩეულ მერზე ზემოქმედებისთვის მას ბერკეტები ძალიან ნაკლები ექნება, ამიტომაც მისი ნება რომ იყოს, ფსონს უფრო სანდო „მეგობარზე“ დადებს.

კიდევ უფრო შორს თუ წავალთ და იმასაც გავიხსენებთ, რომ ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის შექმნის იდეას მაშინვე შინაგან საქმეთა სამინისტროს უკავშირებდნენ, რომელიც, როგორც ამბობდნენ, პარტიას თავადვე აფინანსებდა, არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ მერაბიშვილის ფავორიტი გია ჭანტურიაც კი იყოს. ეჭვს აძლიერებს ის ლოიალური და თითქმის მიმტევებლური დამოკიდებულება ხელისუფლებისადმი, რომელსაც მერობის კანდიდატი გია ჭანტურია იჩენს. მან ისიც კი განაცხადა, რომ 2007 წლის 7 ნოემბრის შესახებ არაფერი სმენია(!).

ერთი კვირა პოლიტიკისთვის შეიძლება ძალიან ცოტა, ან პირიქით, ძალიან დიდი დროც კი იყოს. ერთ კვირაში რადიკალურად სხვადასხვა მოსაზრებები გამოავლინეს ალიანსელებმა. ერთი კვირაღა დარჩა ხელისუფლებას კანდიდატის გამოსავლენად. ამის შემდეგ ნაციონალური ვნებათაღელვის გარკვევაში სიცხადე უფრო შევა.

**სხვათა შორის, ეს ეჭვები თუ გამართლდა, ალბათ, ეს იქნება, გარდაუვალი დასაწყისი ხელისუფლების რღვევის დასაწყისისა. ამის მაგალითი იყო მოქალაქეთა კავშირი, სადაც მამათა და შვილთა შორის გამართული ორთაბრძოლა სრულიად ახალი სახელის, მაგრამ გენეტიკურად იმავე სისხლის — ნაციონალური გუნდის გამარჯვებით დამთავრდა. ნაციონალების შიდა დაპირისპირების დასრულება ამა თუ იმ ჯგუფის გამარჯვებით საზოგადოებას დამშვიდების საბაბს მაინც არ აძლევს. ეს იქნება ძველი — შეფუთული ახალ სახვევებში. შეიძლება ის ვარდისფერი ბაფთითაც კი იყოს შეკრული, მაგრამ მაინც ძველი და... საშიში იქნება...**

**ნია ფიფია**

ფინანსები

# საგადასახადო შეთანხმება გააფორმეს

საგადასახადო შეთანხმება მთავრობასთან უკვე 50-მა კომპანიამ გააფორმა. ამის შესახებ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელმა გიორგი ცხაკაიამ განუცხადა.

— აღნიშნულმა პროექტმა გაამართლა. ეს ბიზნესისთვის ძალიან კარგი ინიციატივაა. როცა სახელმწიფო ხედავს, რომ გადამხდელს კონკრეტული თანხის გადახდის შესაძლებლობა არა აქვს, მასთან საგადასახადო შეთანხმებაზე მიდის, რაც აღნიშნულ ბიზნესს განვითარებაში ხელს შეუწყობს, — განაცხადა ცხაკაიამ.

საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შესაძლებლობა კომპანიებს 2009 წლის 15 დეკემბრიდან აქვთ. მეწარმეს, რომელიც საგადასახადო დავალიანებას აღიარებს, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, სახელმწიფო ვალის რესტრუქტურიზაციას უკეთებს. მთავრობის დადგენილების თანახმად, რომელიც საგადასახადო შეთანხმების წესსა და პირობებს განსაზღვრავს, საგადასახადო შეთანხმების გაფორმება შესაძლებელია, თუ გადამხდელის საგადასახადო ვალდებულებების ჯამური ოდენობა 10 000 ლარს აღემატება და იგი მის მიერ აღიარებული არ არის.

ჯი-ეიჩ-ენი

პრესკონფერენცია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამი წელია არსებობს როგორც დამოუკიდებელი სასწავლო დაწესებულება (მანამდე თსუ-ს ფილიალი), თუმცა დიდი ხანია, რაც უმაღლესი განათლების სისტემაში თავისი ადგილი დაიმკვიდრა, მრავალი წინააღმდეგობისა და პრობლემის მიუხედავად, ეს უნივერსიტეტი შეიძლება მივიჩნიოთ აფხაზეთში მცხოვრებ ადამიანებთან კონტაქტის დამყარებისა და აღდგენის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს



# კონფლიქტები საქართველოში – რეალობა და პერსპექტივები

რგოლად, რაც მას გაცილებით დიდი ფუნქციას აკისრებს, ვიდრე უბრალოდ უმაღლესი განათლების მიღების საშუალებას.

ამიტომ უფრო დიდ სიმბოლურ დატვირთვას იძენს სტუდენტთა პირველი რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველად გაიმართა და მასშტაბურობის გამო ყურადღება დაიმსახურა.

როგორც ჩანს, კონფერენციაში მონაწილე სტუდენტებისთვის თემა: **„კონფლიქტები საქართველოში – რეალობა და პერსპექტივები“** ძალიან საინტერესო აღმოჩნდა. ამას ისიც მოწმობს, რომ ოფიციალურად თემა საქართველოს 15 სხვადასხვა უნივერსიტეტის (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სდასუ, სეუ, თსუ და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი) 82 სტუდენტმა წარმოადგინა.

მნიშვნელოვანია თავად ისიც, რომ მსგავსი მასშტაბის სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია უნივერსიტეტში ახლად შექმნილი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებითა და ინიციატივით ჩატარდა, რაც თავისთავად მეტყველებს ამ ფაკულტეტის მნიშვნელობასა და სიძლიერეზე.

მოლოდინი, რომ თემები მხოლოდ ომის თემატიკაზე იქნებოდა, საბედნიეროდ არ გამართლდა. სტუდენტების აზროვნებაში გაცილებით მეტი მრავალფეროვნება და დამოუკიდებლობა, კონფლიქტისადმი პროფესიული დამოკიდებულება იგრძნობოდა. მაგალითად თემა **„ქართული ლიტერატურა კონფლიქტების მოგვარების სამსახურში“, „კონფლიქტის მოგვარების ეკონომიკური ბერკეტები“, „კონფლიქტი, როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური ფენომენი“, „კონფლიქტი აფხაზეთში და ეკოტურიზმის პრობლემა“, „საქართველო რუსეთის გეოპოლიტიკურ გეგმებში“.**

ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებმა საინფორმაციო კონფლიქტებზე და ჟურნალისტურ ეთიკაზე გაამახვილეს ყურადღება. საინტერესო ნაშრომები მოგვიანებით დაიბეჭდება, ხოლო სპეციალური სიგელი ყველა მონაწილე სტუდენტს უნივერსიტეტის რექტორმა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა (რომელიც ასევე პროექტის ავტორი და ხელმძღვანელია) გადასცეს.

კონფერენციას საპატიო სტუმრის სტატუსით ესწრებოდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე და სხვა მაღალჩინოსნებიც, რომლებიც კმაყოფილებას ვერ მალავდნენ დევნილი უნივერსიტეტის მსგავსი აქტიურობის გამო.

**გიორგი ბარამია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარე:** – იმისთვის, რომ შევძლოთ ლაპარაკი და დაახლოება, ახალი ტიპის პირდაპირი ურთიერთობების დამყარება აფხაზეთთან, მსგავსი ღონისძიებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ამიტომაც რაც უფრო ხშირად მოეწყობა კონფერენციები, მით უკეთეს შედეგს მივიღებთ. მიხარია, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავის სიტყვას ამბობს ასეთ რთულ საქმეში.

**ჯონი აფაქიძე, სოხუმის უნივერსიტეტის რექტორი:** – ეს არის პირველი რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, რომელსაც ჩვენი უნივერსიტეტი მასპინძლობს და ასეთი მასშტაბის დაინტერესებაც გამოიწვია.

ღრმად ვარ დარწმუნებული, სტუდენტები, რომლებიც ამ კონფერენციაში მონაწილეობენ, რეალურად შეუწყობენ ხელს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებას.

**ელგუჯა ქავთარაძე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი:** – ეს კონფერენცია ჩვენი ფაკულტეტის ინიციატივით გაიმართა. არც ველოდით, რომ სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტების მსგავს დაინტერესებას გამოიწვევდა, ეს კი ადასტურებს მსგავსი ღონისძიებების გამართვის აუცილებლობას.

საინტერესოა, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს მართლაც აქვთ ელექტრონული ურთიერთობა აფხაზეთში მცხოვრებ თანატოლებთან, რაც სამომავლოდ იმედს გვიტოვებს, რომ როგორც ერთი მომხსენებლის თემაში ეწერა, ბოროტისა და კეთილის მარადიული ჭიდილი, ამ შემთხვევაში კეთილის გამარჯვებით დასრულდება.

რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებიაო! – შეგვახსენეს სოხუმის უნივერსიტეტში.

**ანა წიწილაშვილი**

გამოხმაურება

# ლეიბორისტებმა ისრაელის ხელისუფლებას მიმართეს...

**იერუსალიმში მომხდარი ვანდალურ ფაქტთან დაკავშირებით გუშინ საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ოფისში საერთაშორისო მდივანმა ნესტან კირთაძემ პრესკონფერენცია გამართა და აღშფოთება გამოხატა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სიახლოვეს შოთა რუსთაველის ბარელიეფის ვანდალური ხელყოფის გამო.**

რუსთაველის ბიუსტი 2005 წელს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე დაიდგა, მას შემდეგ, რაც ჯვრის მონასტერში შოთა რუსთაველის უძველესი ფრესკა გადაშალეს.



**ნესტან კირთაძე** – საქართველოს ლეიბორისტული პარტია, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიასა და ქართულ საზოგადოებასთან ერთად აღშფოთებულია ვანდალური ფაქტით.

არ გამოვრიცხავთ, რომ ეს იყოს წინასწარ გამიზნული ვანდალიზმი, რომელმაც, სამწუხაროდ, პერმანენტული ხასიათი მიიღო, რაც მნიშვნელოვნად დააზიანებს ქართველი და ებრაელი ხალხის 26-საუკუნოვან ისტორიას, საქართველოსა და ისრაელის მეგობრობას და საქართველოს სამოციქულო ეკლესიასა და იერუსალიმის მართლმადიდებელ საპატრიარქოს შორის მეგობრულ ურთიერთობას“.

პრესკონფერენციაზე იმ მიმართვაზეც გაამახვილეს ყურადღება, რომელიც ისრაელის ხელისუფლებასა და იერუსალიმის მუნიციპალიტეტს გაეგზავნა. მიმართვა შეეხება როგორც ამ საქმის გამოძიებას, ასევე შოთა რუსთაველის ბარელიეფის აღდგენასა და ქართული სიწმინდეების დაცვას წმინდა მიწაზე.



**„მიხეილ სააკაშვილის რეჟიმი მიზანმიმართულად ცდილობს, წაშალოს ერის ისტორიული მეხსიერება, შეგნებულად ივიწყებს ვალდებულებას, რომ ქართულ სიძველეთა დაცვა უცხოეთში საქართველოს სახელმწიფოს ვალდებულებაა.**

**საქართველოს ხელისუფლებას დღემდე არ შეუმუშავებია ქართულ სიძველეთა უცხოეთში დაცვის პოლიტიკა. არ არსებობს ამ პოლიტიკის წარმართვის არც საკანონმდებლო ბაზა და არც ორმხრივი ურთიერთობის რაიმე ტიპის ხელშეკრულება.**

**პარტიის სახელით მივმართავ საქართველოს პრეზიდენტს! დაუყოვნებლივ დაავალოს საქართველოს საგარეო საქმეთა და კულტურის მინისტრებს, რომ დაიწყონ სრული კატალოგიზაცია-აღნუსხვა ქართული ისტორიული ძეგლებისა და უნიკალური ნიმუშებისა მსოფლიო მასშტაბით“,** – დასძინა ნესტან კირთაძემ.

მისი აზრით, აუცილებელია სხვადასხვა ქვეყნებთან ორმხრივი ხელშეკრულების მომზადება ქართული ძეგლების დასაცავად, მათ შორის – თურქეთთან, ტაოკლარჯეთის ქართული ძეგლების გადასარჩენად.

**„ჩამოინგრა ძველი ქართული სიწმინდის – ოშკის ბარელიეფი და დღითიდღე უფრო ზიანდება, ისევე როგორც ქართული ხუროთმოძღვრების სხვა ძეგლები და სიწმინდეები. ამიტომ, ვითარების გამოსასწორებლად, დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს საკანონმდებლო ბაზის შექმნა და სახელმწიფო პოლიტიკის რანგში ავიდეს ქართული დიდების, ქართული ცივილიზაციის უნიკალური ნიმუშების დაცვა უცხოეთში“.**

საქართველოს ლეიბორისტული პარტია უკვე ამზადებს შესაბამის საკანონმდებლო ინიციატივებს პარლამენტში განსახილველად.

**თინათინ ბორცვაძე**

საიუბილეო საღამო

# „მედია პალიტრა“ 15 წლისაა

**მერაბ ბერძენიშვილის კულტურის ცენტრ „მუზაში“ „მედია პალიტრამ“ 15 წლის იუბილე აღნიშნა. საიუბილეო საღამოში მონაწილეობდნენ მეცნიერების, კულტურის, სპორტის ცნობილი წარმომადგენლები და პოლიტიკოსები.**

„მედია პალიტრის“ ისტორია იწყება გაზეთ „კვირის პალიტრიდან,“ რომელიც ზუსტად 15 წლის წინათ პირველად იხილა საქართველომ. დღეისათვის „მედია პალიტრა“ უშვებს ოთხ გაზეთს და 15-მდე ჟურნალს.

საიუბილეო საღამოს უძღვებოდა მედია-სახლის კრეატიული დირექტორი მარიკა დარჩია.




სიმებიანმა კვარტეტმა შეასრულა სხვადასხვა ნაწარმოებები, ასევე, შედგა ჯანსუღ და მამუკა ჩარკვიანების სიმღერის „სიტყვის თავისუფლება“ პრემიერა, რომელიც ჩარკვიანებმა სწორედ „მედია პალიტრის“ 15 წლის იუბილეს მიუძღვნეს. სიმღერა შეასრულა თემურ წიკლაურმა.

საღამოს დასასრულს შემოიტანეს გაზეთ „კვირის პალიტრის“ ფერებში გაფორმებული ტორტი, რომელსაც გაზეთის ლოგო ამშვენებდა. ის მედია-სახლის ხელმძღვანელმა ირაკლი თევდორაშვილმა და გაზეთ „კვირის პალიტრის“ მთავარმა რედაქტორმა გიორგი თევდორაშვილმა „მრავალჟამიერის“ ფონზე გაჭრეს.

საიუბილეო საღამოზე დააჯილდოვეს ყველაზე ერთგული კორპორატიული ხელმომწერი – საბავშვო ქალაქი „მზიური“. ასევე, დააჯილდოვეს ყველაზე ერთგული ხელმომწერები, კერძო პირები, რომლებსაც გამომცემლობა „პალიტრა L“-ის მიერ გამოცემული წიგნების კომპლექტი გადაეცათ. საღამო დასრულდა მოწვეული სტუმრების მილოცვებით.

მედია-სახლის შემადგენლობაში შედის წიგნის მაღაზიათა ქსელი „ბიბლუსი“, გამომცემლობა „პალიტრა,“ ასევე, პრესის გავრცელების სამსახური „ელვა ჯი,“ რადიო „პალიტრა,“ საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსი“ და ინტერნეტ-გამოცემა „ამბები ჯი.“

**ნატა ნიბლაძე**

თუ...

# დენთის სუნი მცემს

**ქვეყანაში ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური სიტუაცია უკიდურესად დაძაბულია. პოლიტიკოსთა უმრავლესობა არ გამორიცხავს, რომ ჩვენთან მოვლენები ყირგიზეთის სცენარით წარიმართება. ღმერთმა დაგვიფაროს, რომ გამართლდეს მათი წინათგრძნობები, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ხელისუფლებამ შეუიარაღებელი მანიფესტაციების დაშლისას ძალა გამოიყენოს.**

მოვლენის ყველაზე უარესი სცენარით განვითარების პირობებში, ჩვენ, 60 წელს გადაცილებული მამაკაცები ფარად უნდა გადავეფაროთ მოქნეულ მახვილს. ანუ მარტივად და გასაგებად თუ ვიტყვით, ნებისმიერ სიტუაციაში წინა ხაზზე ჩვენ უნდა აღმოვჩნდეთ, რათა მოსალოდნელი სისხლისღვრისაგან მაქსიმალურად დავიცვათ ერის გენოფონდი. ჩვენ, მამებსა და ბაბუებს (პაპებსძ, თუ გაგვიმართლა და ჩვენი მომავალი თაობის ბედნიერებისათვის მოგვიწია თავის დადება, მაშინ მომავალი თაობა, ჩვენზე სიამაყით იტყვის:

**„თქვენს საფლავებთან მოსვლა და,**
**მუხლის მოდრეკა მოგვინდა“.**
ღირს ამისთვის ცხოვრება!

**ანზორ ბაბუხადია,**
საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი

*** იბეჭდება განმეორებით, წინა ნომერში დაშვებული უხეში ტექნიკური შეცდომის გამო**

ქართველთა ერთიანობა – ქვეყნის ერთიანობა

# ერმა ყველაფერი უნდა იღონოს, რათა მოამზადოს ღირსეული სპეციალისტები და ისინი თავად აირჩიოს ერის წინამძღოლებად



ქ. სანქტ-პეტერბურგი
E-mail: info@congress-georgia.org

**რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები ქართული დიასპორის მსოფლიო კონგრესის ჩატარების ორგანიზატორს,**

**ბატონ ალექსანდრე ებრალიძეს,**

**კონგრესის ყველა მონაწილეს**

საქართველოში მცხოვრები ყველაზე მრავალრიცხოვან ბერიძეთა გვარის (27.000კაცი) სახელით მსურს მოგილოცოთ იესო ქრისტეს აღდგომა და ხარების დღესასწაული. სასიხარულოა, რომ კონგრესი ტარდება ერთმორწმუნე ქართველი და რუსი ერების ამ უმნიშვნელოვანესი საერთო დღესასწაულების შემდეგ.

დაე, ქრისტეს აღდგომამ გაგიძლიეროთ გონიერების, სამშობლოს სიყვარულისა და მშვიდობიანი ცხოვრების დიდი უნარი.

დაე, თქვენმა კონგრესმა სათავე დაუდოს საქართველოსა და რუსეთს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენას, ქართველ ერში ერთობის განმტკიცებასა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას.

პატივცემულო მამულიშვილებო, დღეს ქართველ ერს ძალზე უჭირს. იგი უსიხარულოდ და მომავლის შიშით ცხოვრობს. უჭირს სულიერად, ეკონომიკურად, სოციალურად. დღეს საქართველოში არის კრიტიციზმის ფსიქოზი. უკვე 22-ე წელიწადია მიტინგებს ვმართავთ. მწვავე კრიტიკას, ლანძღვასა და გინებას ჩვენ რატომღაც პოლიტიკას ვეძახით, ხოლო მიტინგებზე ნაუცბადევი გადაწყვეტილებების განხორციელება დემონსტრაციების მოწყობის გზით გვსურს. არადა, 2010 წლის აღდგომა დღეს თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ სამშობიაროში 13 ბავშვი დაიბადა, მათგან მხოლოდ 2 იყო ქართველი!

ბატონებო, საქართველო იყო და არის უდიდესი კულტურისა და ისტორიული გამოცდილების ქვეყანა, ხოლო ქართველი ერი - დიდად ცივილიზებული.

ქართველმა ხალხმა დაუდო დემოკრატიას სათავე „ბებერ კონტინენტზე“ (ევროპაში) XII საუკუნეში, როცა ქალი მამაკაცს გაუთანაბრა და მეფედ აკურთხა. ამდენად, საქართველოში ნებისმიერი პოლიტიკა მხოლოდ და მხოლოდ ცივილიზებული წესით უნდა განხორციელდეს. ბრძენი ბრძანებდა: „სანატრელია ქვეყანა, რომელშიც ფილოსოფოსები მეფობენო, ხოლო მეფენი – ფილოსოფოსობენ.“ მიმაჩნია, რომ დღეს საქართველო დიპლომატ, პოლიტიკოს და მამულის ერთგულ კადრთა ქრონიკულ დეფიციტს განიცდის. ერმა ყველაფერი უნდა იღონოს, რათა მოამზადოს ღირსეული სპეციალისტები და ისინი თავად აირჩიოს ერის წინამძღოლებად. უნდა გამოირიცხოს სხვა ქვეყნის მიერ „დანიშნული“ ე.წ. „ერის წინამძღოლები“.

გთხოვთ, რიგ საკითხებთან ერთად, კონგრესზე დააყენოთ და განიხილოთ საკითხი, რომ ქ. თბილისში დაარსდეს ბაგრატოვანთა სამეფო უნივერსიტეტი, თუნდაც ისეთი, როგორიცაა კემბრიჯის სამეფო (ინგლისი), ცნობილი კოლუმბიის (აშშ), შესანიშნავი МГУ (მოსკოვი), სადაც ისწავლიან ქართველი, აფხაზი, ოსი, რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, თურქი, ევროპელი და აზიელი სტუდენტები. ეზიარებიან დიპლომატიისა და პოლიტოლოგიის საფუძვლებს. ამით გამოირიცხება საქართველოს ხელისუფლებაში შემთხვევითი ადამიანების „მოხვედრა“. იფიქრეთ ასეთი ცივილიზებული კულტურულ-საგანმანათლებლო კერის (უნივერსიტეტის) ერთობლივ დაფინანსებაზე... ამას მოითხოვს საქართველოს მომავალი.

გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობასა და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებას საქართველოსა და ქართველი ერის საკეთილდღეოდ. არ დაუშვათ ძალადობრივი მეთოდების რაიმე დისონანსის შეტანა ქვეყნის ცხოვრებაში. გფარავდეთ უფალი, ივერიისა და ყაზანის ღვთისმშობელის ხატები თითოეულ თქვენგანს და საქართველოს.

ღმერთმა დალოცოს საქართველო, ქართველი ერი, მთავრობა და მხედრობა მისი.

პატივისცემით, აკადემიკოსი
**ვაჟა ბერიძე**
საქართველოში ყველაზე მრავალრიცხოვან
ბერიძეთა გვარის ეთნარქი (წინამძღოლი).

თბილისი, 2010 წლის 20 აპრილი

ტელ: (+99599) 33.53.60
E-mail: Academia.2001@posta.ge



„საქპატენტი“

# არამატერიალური ფასეულობის მატერიალურად გადაქცევის გზაზე

**ტრადიციას, თუნდაც არაეროვნული და, მით უმეტეს, არაპლანეტარული მასშტაბისას, საფუძველი ოდესღაც მაინც ვინმემ უნდა ჩაუყაროს. ერთი ასეთი, ჯერ სულ ნორჩი, მეტად სასიამოვნო და გულის გამხარებელი რიტუალი ნელ-ნელა ფეხს იკიდებს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტში“ ახალი გენერალური დირექტორის ირაკლი ღვალაძის მისვლის შემდეგ.**

საქმე ის არის, რომ გუშინ „საქპატენტის“ საკონფერენციო დარბაზში ბატონმა ირაკლი ღვალაძემ გამოგონებაზე, ან სასარგებლო მოდელზე, სამრეწველო ნიმუშებზე პატენტისა და ან სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლებების დამადასტურებელი მოწმობების გაცემის საზეიმო ცერემონია გამართა.

ამ, ერთი შეხედვით „რიგით“ ღონისძიებაზე რომ მივდიოდი, სიმართლე გითხრათ, პატივცემულო მკითხველო, არ მეგონა, რომ ბევრ სიახლეს შევიტყობდი, თუმცა, ცოდვა გამხელილი სჯობს, აღმოჩნდა, რომ ვცდებოდი.

თავშივე ვიტყვი, რომ იმ ფირმების წარმომადგენლები, გამოგონებების, სასარგებლო მოდელებისა და სამრეწველო ნიმუშების ავტორები დიდად ნასიამოვნები დარჩნენ იმ უაღრესად სასიკეთო ელფერის სასიხარულო განწყობით, რომელიც ამ დღეს „საქპატენტში“ სუფევდა.

–პატენტი გაიცემა გამოგონებაზე ან სასარგებლო მოდელზე, რომელიც ტექნიკური პრობლემის ახლებური გადაწყვეტის იდეის მატარებელია და პროდუქტს ან პროდუქტის მიღების ტექნოლოგიას ეხება, ამასთან, გამოირჩევა საგანმანათლებლო დონითა და მისი წარმოებაში გამოყენების შედარებითი სიმარტივით, – თქვა ბატონმა ირაკლი ღვალაძემ. მან ასევე აღნიშნა, რომ პატენტი გაიცემა სამრეწველო ნიმუშებზეც, რომელიც ნაკეთობის მხატვრულ-კონსტრუქციულ გარეგან სახეს წარმოადგენს (მაგალითად, ავეჯი, ფეხსაცმელი, სხვადასხვა სახეობის სატრანსპორტო საშუალება, ჭურჭელი და ა. შ.).

ამასთან, მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ **პატენტი არის მონოპოლიური უფლება, რომელიც მის მფლობელს სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული დროით აქვს მინიჭებული და დამცავ დოკუმენტს წარმოადგენს.**

ბატონმა ირაკლი ღვალაძემ იმასაც გაუსვა ხაზი, რომ ბოლო დროს საქართველოში სასაქონლო ნიშნის მიღებით მრავალი სამამულო და უცხოური ცნობილი ბრენდია დაინტერესებული, რომელიც ადგილობრივ ბაზარზე შემოსვლას სამომავლოდ გეგმავს.

– თქვენი ყურადღება იმასაც მინდა მივაპყრო, რომ **სასაქონლო ნიშანი – ესაა არამატერიალური ფასეულობა, რომლის მატერიალურად გადაქცევა წარმატებული ბიზნესის წარმოებით და შემდგომ მისი საზრიანად გამოყენებითაა შესაძლებელი,** – დასძინა „საქპატენტის“ გენერალურმა დირექტორმა.

ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ სასაქონლო ნიშანი გარკვეული ვადით, 5-10 წლით გაიცემა და 500 ლარი ღირს, რაც „საქპატენტის“ დიდი მოცულობის საკვლევი სამუშაოს წარმოებითაა განპირობებული, ხოლო ათწლიანი ვადის შემდგომ მისი ყოველი ათი წლით გაგრძელება 180 ლარი ჯდება.

იმ ფირმებს შორის, რომელთა წარმომადგენლებმა გუშინ შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს, არიან **შპს „სპრინგი“** (ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები, რესტორნებისა და კაფეების ქსელი), **შპს „კონტრასტ+“** (გართობა, სპორტული და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები), **შპს „ტონუსი“** (საცალო ვაჭრობის ქსელის მომარაგება), **შპს „ლომაქსი“** (სასაქონლო მომარაგება-რეალიზაცია), შპს **„ალიანს კორ“** (კომპიუტერული ქსელის მოწყობილობები), **შპს „სოფია“** (ქაღალდის ნაწარმი და გასაღება), **შპს „პაემანი“** (კაფელის სახლი, მშენებლობა, რემონტი), **შპს „კაიძენი“** (უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები, მშენებლობა, რემონტი), **შპს „შატო ზეგაანი“** (ალკოჰოლიანი სასმელები), **შპს „შარდენის კოფე“** (ყავა), **შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების კომპანია“** და **შპს „კვირის პალიტრა“**.

სამეწარმეო და სავაჭრო ფირმების წარმომადგენელთა გარდა პატენტები მიიღეს: გამოგონებებში – **ვახტანგ კაიშაურმა** (პოლიმერბეტონი), **მიხეილ ოქროსაშვილმა** (ფხვნილთა პლაკირების ხერხი), **ნიკოლოზ კონსტანტინიდმა** (ატმოსფერული ელექტრობის მიღებისა და გადაცემის მოწყობილობა); სასარგებლო მოდელებში **– შპს „ჯორჯიან გლას ენდ მინერალ ვოთერ კომპანის“ თბილისის ფილიალმა** (სასმელი ან მინერალური წყლის სელექციური გაწმენდის ხერხი), **დავით ყუბანაშვილმა** (ხელის ურიკა), **ნათელა ხეცურიანმა** (რთული ორგანული ნარევების დასაყოფი თერმოდიფუზიორი სვეტი), ხოლო სამრეწველო ნიმუშებში – **დავით ზუკაკიშვილმა** (ავტომანქანა).

საგანგებოდ აღვნიშნავ, რომ ბატონ დავით ზუკაკიშვილის სამრეწველო ნიმუშებთან დაკავშირებით ვრცელ მასალას ახლო მომავალში შემოგთავაზებთ.

**ოთარ ტურაბელიძე**

№ 74. ხუთშაბათი, 22 აპრილი, 2010 წელი.

გლობუსი

# ვარაუდი თუ რეალობა?

**ვაშინგტონის კონფერენცია ბირთვული საფრთხეების აცილებასთან დაკავშირებით საინტერესო და დაპირებების თვალსაზრისით შედეგიანი გამოდგა. რამდენიმე სახელმწიფომ, მათ შორის უკრაინამ, განაცხადა, რომ მზად არის დათმოს მაღალგამდიდრებული ურანი, ანუ გააკეთოს ის, რასაც ვაშინგტონი ბოლო 10 წლის განმავლობაში დაბეჯითებით ითხოვდა. რუსეთის პრეზიდენტმა მზადყოფნა გამოთქვა, შეაჩეროს პლუტონის ქარხნის მუშაობა. თემის აქტუალობიდან და მონაწილე ქვეყნების რაოდენობიდან (47) გამომდინარე, კონფერენციამ გაამართლა.**

ობამას ადმინისტრაცია მიიჩნევს, რომ ბირთვული იარაღის არსებობას წერტილი უნდა დაესვას, მაგრამ სანამ ეს მოხდება, ყველა ქვეყნის ვალია ყველაფერი იღონოს, რომ ის არ მოხვდეს ტერორისტთა ხელში. **ბირთვული იარაღის გაქრობის იდეა საინტერესოა, მაგრამ უტოპიური, ვინაიდან მსოფლიო საზოგადოების, მათ შორის პოლიტიკოსების დამოკიდებულება ბირთვულ იარაღთან მიმართებაში ორაზროვანია. პირველი — ბირთვული იარაღი უდიდესი დამანგრეველი ძალის მატარებელია და ბირთვული ომის შემთხვევაში საეჭვოა მსოფლიოს გადარჩენა. მეორე — იარაღი არის სწორედ ის ძალა, რომელმაც შექმნიდან 65 წლის მანძილზე გადაარჩინა მსოფლიო დიდი ომისგან. გარდა ამისა, ბირთვული იარაღი სახელმწიფოს მატებს თვითდარწმუნებას. მან იცის, რომ უნებლიეთ თავში არავინ წამოარტყამს.**

**დღეს ხშირად ლაპარაკობენ ბირთვული ენერგიისა და ბირთვული ბომბის გამიჯვნის თაობაზე, მაგალითად ირანიც კმარა. აშშ-ს განცხადებით, ირანს უფლება აქვს, აწარმოოს კვლევითი სამუშაოები ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მიერ დადგენილ ხუთპროცენტიან ჩარჩოში, მაგრამ არა აქვს ბირთვული ბომბის შექმნისთვის კვლევის გაგრძელების უფლება. ე. წ. „ბინძური ბომბის“ დამზადებისათვის ურანის 20 პროცენტამდე გამდიდრებაც საკმარისია. ბირთვული ელექტროსადგურის მუშაობისათვის — 5 პროცენტზე მეტად გამდიდრებული ურანი, ხოლო შიდსის, ავთვისებიანი სიმსივნეების წინააღმდეგ ბრძოლისათვის 20 პროცენტამდე გამდიდრებული ურანია საჭირო. ბირთვული ბომბის დამზადება 80-90 პროცენტამდე გამდიდრებულ ურანს საჭიროებს.** ერთი კვირის წინათ ირანის პრეზიდენტმა აჰმადინეჟადმა მოინახულა ახალი ცენტრიფუგები და აღნიშნა, რომ ირანს უკვე შეუძლია ურანის 80 პროცენტამდე გამდიდრება, მაგრამ მას ეს არ სჭირდება. ასე რომ, მშვიდობიან და არამშვიდობიან ურანს შორის საზღვრის გავლება არცთუ იოლი საქმეა, სწორედ ეს რთული მისია აკისრია საერთაშორისო სააგენტოს, რომელიც სისტემატურ მონიტორინგს აწესებს, თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც საქმეში პოლიტიკა ერთვება, სააგენტოს რეკომენდაციებს გვერდზე დებენ. სწორედ ასე მოხდა ერაყთან მიმართებაში. სააგენტო აცხადებდა, რომ ერაყს არ აქვს ბირთვული იარაღი, მაგრამ, პოლიტიკური მოსაზრებიდან გამომდინარე, აშშ საწინააღმდეგოს ამტკიცებდა. ანალოგიურს ხომ არ მოასწავებს, აშშ-ს მიერ ირანის წინააღმდეგ აგორებული კამპანია?

ვაშინგტონის კონფერენცია ობამასთვის მომგებიანი გამოდგა. მისი დაცემული რეიტინგი ამ და სხვა ღონისძიებებით გამოსწორების გზაზეა. ხალხს ხიბლავს პაციფისტური განცხადებები, თუნდაც ისეთი, როგორიცაა — მსოფლიო ბირთვული იარაღის გარეშე. ის ნაკლებად ულრმავდება საკითხს — რამდენად განხორციელებადია ეს იდეა. რაც შეეხება პოლიტიკოსებს ან სპეციალისტებს, მათი სკეპტიციზმი უსაზღვროა. ამერიკელ პოლიტიკოსებს სიცილადაც არ ჰყოფნიდათ ხრუშჩოვის 60 წლის წინანდელი მოწოდება საყოველთაო, სრული განიარაღების თაობაზე. დღეს რუსებს უნდა გაეცინოთ ობამას ინიციატივაზე, მაგრამ გაცინებამდე ისინი სხვას ფიქრობენ, ანუ ამერიკელთა აჩემების შემთხვევაში, რა გზას დაადგნენ. სრული ბირთვული განიარაღება მისთვის ნაკლებსახარბიელოა, ვინაიდან სწორედ ბირთვული იარაღი აძლევს რუსეთს სუპერსახელმწიფოს სტატუსს, საბაბს აწარმოოს აშშ-სთან პარიტეტული საუბარი. ცნობილი ფაქტია, რომ ჩვეულებრივ შეიარაღებაში ამერიკელები მნიშვნელოვნად უსწრებენ რუსებს. აშშ-ს ჯერაც არ ჩამოუწერია ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების და აღმოსავლეთ ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განლაგების გეგმები. ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებაში არა მარტო კავკასია-ცენტრალური აზიის ქვეყნების ენერგეტიკული რესურსების კონტროლი მოიაზრება, არამედ რუსეთ-ჩინეთთან სამომავლო, სავარაუდო დაპირისპირებაში მყარი პლაცდარმის შექმნა.



ამ თვალსაზრისით ნატომ ინტერესით დაიწყო ყურება მონღოლეთისკენ. მონღოლეთის ნეიტრალური სტატუსი გამორიცხავს სხვა ქვეყნის სამხედრო ობიექტის განლაგებას საკუთარ ტერიტორიაზე. მაგრამ ფინანსები ჯოჯოხეთს ანათებს, მით უმეტეს მძიმე მონღოლური ზამთრით გამოწვეული სერიოზული ზარალის შემდეგ. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს გათვლით, დიდი ტერიტორიის და მცირე მოსახლეობის მქონე მონღოლეთი მართლაცდა მისწრება იქნება რუსეთ-ჩინეთზე სადაზვერვო სამუშაოების შესაფერისი სამხედრო ობიექტების განსათავსებლად. დასაწყისში ბაკიევის ყირგიზეთიც გაჰყვიროდა — აშშ-ს სამხედრო-საჰაერო ბაზა არაო, პარლამენტმაც მიიღო გადაწყვეტილება ბაზის გაუქმების თაობაზე, მაგრამ მილიონობით დოლარმა სხვაგვარად „აამღერა“ ისინი.

**ვაშინგტონელი ანალიტიკოსების მთავარი მიზანი რუსეთის იმ ზომამდე მოთვინიერებაა, რომ მან თანხმობა განაცხადოს ირანის მიმართ ეკონომიკური სანქციების დაწესებაზე. ანალოგიური განწყობაა ჩინეთის მიმართაც. ვაშინგტონი დღეს „ეარშიყება“ რუსეთს, მაგრამ რა იქნება ხვალ, ადვილი გამოსაცნობი არ არის. აღმოსავლეთისკენ მიმავალ გზაზე ირანი შუაში არსებული შეფერხებაა, მისი დაძლევის შემთხვევაში მთავარი ყურადღება რუსეთ-ჩინეთის დასაჭურისებაზე გადავა. რუსეთ-აშშ-ს შორის იქნება თანამშრომლობა, თუმცა არა ისეთი ყოვლისმომცველი, რაზეც ოცნებობენ რუსეთში. ამერიკელთა მხრიდან უნდობლობის ფაქტორი დიდია. არც რუსეთშია დიდი ნდობა ამერიკისადმი. აქედან გამომდინარე, ჯერაც ადგილი აქვს თანამგზავრი სახელმწიფოების შეძენა-გაფართოების პოლიტიკას, რუსეთის მხრიდან ამას ადგილი აქვს ლათინური ამერიკის მიმართულებით — კუბა, ვენესუელა, ნიკარაგუა, ბოლივია, ბრაზილია, არგენტინა; ამერიკის მხრიდან — აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, პოსტსაბჭოთა სივრცე, განსაკუთრებით — საქართველო.** ასეთ ვითარებაში ერთობ სარისკოდ ჩანს რუსეთის მხრიდან ამერიკისთვის ირანის საწინააღმდეგოდ მხარის დაჭერა. ვინ იცის, სად და რა დროს წამოჰყოფს თავს განაწყენებული თეირანის ანტირუსული გადაწყვეტილება. ამერიკელი პოლიტიკოსების უმთავრესი ამოცანა ის არის, რომ კრემლი დაარწმუნოს ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების „კეთილშობილებაში“, რომ ნატო არასდროს შეუქმნის რუსეთს პრობლემას. რუსეთის მხრიდან ყურადღების მოდუნება აშშ-ს სამხედრო-სტრატეგიული პოზიციების განმტკიცების მომასწავებელი იქნება, საბოლოო ჯამში მის მიმართ სამხედრო შანტაჟის განხორციელების ვრცელი შესაძლებლობა, მისი სუპერ სახელმწიფოობიდან ჩამოქვეითება. მკითხველს ახსოვს, თუ როგორ გაჰყვიროდა სააკაშვილი და მისი ხელისუფლება — ნატოში საქართველოს შესვლა რუსეთს არ დაემუქრებაო.

საქართველო არც ბირთვული სახელმწიფოა და არც ბირთვული კვლევების ჩამტარებელი, მაგრამ ის აშშ-ის პარტნიორი და მისი სურვილების უყოყმანოდ შემსრულებელია. საქართველო ჯარისკაცებს აგზავნის ავღანეთში, აქტიურობს ერაყში, საკუთარ ტერიტორიას სთავაზობს აშშ-ს სამხედრო პლაცდარმის შექმნისთვის, ავღანეთში გასაგზავნი ტვირთების სატრანზიტოდ გამოყენებისთვის, ირანთან ომის შემთხვევაში მზად იქნება, ამერიკელებს აეროდრომებიც დაუთმოს.

**ამერიკაში ყოფნის დროს სააკაშვილი მაქსიმალურად შეეცადა შერყეული რეპუტაციის გამოსწორებას. შეძლო თუ არა ეს, მალე გამოჩნდება. ერთი კი აშკარად ჩანს — მასპინძელთა მასთან ურთიერთობა ისეთი არ არის, როგორც ბუშის დროს. არ გამართლდა ქართული ტელეკომპანიების ყვირილი — ობამა მიიღებს სააკაშვილსო. კონფერენციის დარბაზის დერეფანში ხანმოკლე სიტყვების გაცვლა საუბრად არ ჩაითვლება. როგორც ჩანს, სააკაშვილის „პატალოკი“ ვიცე-პრეზიდენტია. რა გაეწყობა — უთევზობისას კიბორჩხალაც თევზია.**

**რაც შეეხება რუსეთს, სააკაშვილმა არც ამჯერად დაინდო ის. რუსული აგრესია სააკაშვილის კოზირია, თანაც ის დღესაც კარგად ჭრის მისი „ნიჭით“ მოხიბლულ ზოგიერთ ამერიკელში. ვაშინგტონის სამიტის თემას სააკაშვილის „მიხვედრილობამ“ რუსული „საფრთხეც“ დაუკავშირა, ანუ რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ურანით ვაჭრობის შესაძლებლობა. ეს ყველაფერი საქართველოს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებულ ტერიტორიაზე ხდებაო. უმალ საქართველოს მესაზღვრეებმა გამდიდრებული ურანიც დააკავეს და ის იყო ამ ამბავს მსოფლიო უნდა შეეძრა, რომ მოულოდნელი სდექ! ვიღაც გონიერი ამერიკელი მიხვდა, რას გამოიწვევდა რუსეთისკენ ავანტიურისტული თითის გაშვერა („იმედის“ ტელეგადაცემის მსგავსად). პრაღის შეთანხმების შემდეგ ამერიკა-რუსეთის გამთბარ ურთიერთობებს ავანტიურა აღარ სჭირდებოდა. სააკაშვილის ურანული ფანტაზია ფანტასტიკის თვალსაზრისით ბაკურიასეულის მსგავსია. ხუთი წლის წინათ ამ უკანასკნელმა აშშ-დან ვრცელი სტატია გამოაქვეყნა გაზეთ „ჯორჯიან თაიმსში, სადაც მხილებული იყო რუსეთის მიერ ირანისათვის გამდიდრებული ურანის მიყიდვა, თანაც აბაშიძის შუამდგომლობით, მისსავე კაბინეტში. მოსკოვ-თეირანის ჩახუტებული ურთიერთობის არსებობა თავისთავად გამორიცხავდა ასლან აბაშიძის შუამდგომლობას, მაგრამ ცოტნეს მიზანი აბაშიძე-რუსეთ-ირანის გაშავება იყო, რამაც საქართველოში ირანის ელჩის საჯარო პროტესტი გამოიწვია, როგორც გაზეთის, ისე ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის მიმართ. ამ უკანასკნელმა თავისებური „ხიბლი“ შემატა ბაკურიას ნაბოდვარს.**

**ბოლო დროს საქართველოს ხელისუფლებას შეშფოთება ეტყობა, რაც გამოჩნდა გაზეთ „კომერსანტისათვის“ უტყვი მერაბიშვილის ინტერვიუში, სადაც მან თქვა, საქართველოს ხელისუფალთ ფეხებზე ჰკიდიათ ევროკავშირიო. 3 მილიარდი დოლარის მომცემი დონორისადმი გამოთქმული თავხედური უმადურობა დაუფიქრებლობით არის გამოწვეული თუ განაწყენიანებით? ის, რომ ევროკავშირის წევრი „ძველი ევროპა“ ათვალწუნებით აღიქვამს სააკაშვილს, არახალია, და ამას მიჩვეულია სააკაშვილი. როგორც ჩანს, საქმე სხვაშია. ვარაუდით შეიძლება ითქვას, რომ ევროპა ქართულ-რუსული, ჩიხში შესული ურთიერთობების მოსაწესრიგებლად ქმედით ნაბიჯებს დგამს, ცხადია, საქართველოს ხელისუფალთა გვერდის ავლით და ზოგიერთი ოპოზიციონერის გამოყენებით. იქნებ ქართველ ოპოზიციონერთა გულში ჩახუტება რუსების მიერ, სულაც არ არის ამ უკანასკნელთა ინიციატივა? იქნებ ამიტომაც მისცა მერაბიშვილმა ინტერვიუ „კომერსანტს“ და არა რომელიმე ევროპულ გაზეთს? ევროპის აუგად მოხსენიებით რუსეთს ხომ არ გააგებინეს, რომ ევროპელთა ძალისხმევა საქართველოს ხელისუფალთათვის არაფერს ნიშნავს?**

ჰამლეტ ჭიპაშვილი
პოლიტოლოგი.

სამეგრელოს მხარე

# აქეთ – უდანაშაულოს დაჯარიმება-დაშინება, იქით – ნაცმოძრაობის კამპანია...

**ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ავთანდილ ჭანტურიამ სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიას ერთ-ერთი მოწმე ჯამბულ ჩიქოვანი.**

ის 2009 წლის სექტემბერში ვლადიმერ ვახანიას სასამართლო პროცესზე უშუალოდ სასამართლოს შენობაშივე დააკავეს, რადგან ბრალად წაუყენეს პირველი ჩვენების გადათქმა. არადა, მას ჩვენება არ შეუცვლია, თქვა სიმართლე, რომ არ უნახავს, თუ როგორ გამოიღეს ვახანიას საწოლის ლეიბიდან პოლიციელებმა ავტომატური იარაღი. მას აიძულებდნენ ეთქვა, რომ ჩხრეკის პროცესი მისი თანდასწრებით ჩატარდა... ამ აბსურდული ბრალდების გამო ჯამბულ ჩიქოვანმა ციხეში 8 თვე გაატარა. ამ დღეებში საპროცესო გარიგების — 5 000 ლარის „ჯარიმის“ გადახდის შემდეგ მას 3 წლით პირობითი სასჯელი მიუსაჯეს და გაათავისუფლეს.

ბრავო, ქართულო მართლმსაჯულებავ! თუ პიროვნებას დანაშაულს ვერ უმტკიცებთ, ამოდენა ჯარიმა ან „პირობითი სასჯელი“ რა ჯანდაბაა? — სამი წელიწადი დღემუდამ დაზაფრული უნდა იყოს, თქვენი ეშინოდეს?

არ გრცხვენიათ, თქვე ცოდვის შვილებო? ამდენი უკანონობა და უზნეობა ვის შერჩენია, თქვენ რომ შეგრჩეთ?

როდესაც ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში ეს პროცესი მიმდინარეობდა, სასამართლოდან 50-იოდე მეტრში, ე. წ. ფრანგულ პარკში ნაციონალური მოძრაობის სამეგრელოს რეგიონის აქტივისტები იყვნენ შეკრებილნი. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ წინასაარჩევნო კამპანიის დაწყება აუწყა მათ და დეპუტატობის კანდიდატებიც დაასახელა: პირველ ნომრად წარდგენილია ნაცმოძრაობის ზუგდიდის ორგანიზაციის აღმასრულებელი მდივანი ლევან კონჯარია (ის „მოიაზრება“ ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარედ; მეორე ნომრად კი — ზუგდიდის წმინდა ლუკას სახელობის სამედიცინო ცენტრის დირექტორი როლანდ ახალაია. საკრებულოს ამჟამინდელი თავმჯდომარე ვახტანგ ცხადაია კი სამეგრელო-ზემო სვანეთის ვიცე-გუბერნატორი გახდა.

**ასე რომ, საინტერესო დამთხვევაა: უდანაშაულო ადამიანის „გათავისუფლების“ პროცესი და „დემოკრატიული საქართველოსთვის“ მებრძოლ ადამიანთა შეკრება ერთდროულად მიმდინარეობდა.**

ლადო ქირია,
ზუგდიდი

**ჩვენ და გარემო**

# გაუდაბნოებასთან საბრძოლველად ტყეების გაშენება დაიწყეს

**ბოლო რამდენიმე წელიწადია დედოფლისწყაროელებს გაუდაბნოების პრობლემა განსაკუთრებით აწუხებთ. ვითარებას ისიც ართულებს, რომ კლიმატის ცვლილებამ „პურის ბეღლად“ წოდებული შირაქის ველების მოსავლიანობის ხარისხი მკვეთრად შეამცირა, რამაც ადგილობრივი მოსახლეობის ფინანსურ მდგომარეობაზეც ადეკვატური რეაქცია იქონია.**



შირაქის ველზე ქარსაცავი ზოლის გაჩეხვის გამო ტერიტორიები გაუდაბნოების საშიშროების წინაშე რეალურად დადგა. უცხოელი ექსპერტების მტკიცებით, გაუდაბნოების საფრთხის ყველა პარამეტრი სწორედ დედოფლისწყაროში გამოვლინდა. დრო არ ითმენს და პრევენციული ღონისძიებების ოპერატიულად განხორციელება აუცილებელი გახდა.

ორიოდ დღის წინათ, ადგილობრივმა თვითმმართველობამ დედოფლისწყაროში რამდენიმე ადგილას ტყის გაშენება დაიწყო. სამუშაოები გერმანიის ტექნიკურ ცენტრს, საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსა და დედოფლისწყაროს თვითმმართველობას შორის სამმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე მიმდინარეობს და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში კლიმატური პირობების გამოსწორებას ისახავს მიზნად.

როგორც მუნიციპალიტეტის გამგეობაში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ განუცხადეს, სამუშაოებზე ადგილობრივი მუშახელი დასაქმდა, რაც ორმაგად მნიშვნელოვანია.

კომენტარისთვის დედოფლისწყაროს გამგებლის მოადგილეს გელა თეთრაულს დავუკავშირდით. მისი თქმით, სამუშაოები უკვე დასასრულს უახლოვდება: – ნერგები დაირგო სოფელ წითელწყაროს ახალი სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე, ქალაქ დედოფლისწყაროში ელიას მთასთან და სოფელ საბათლოში. დაახლოებით 60 ათასი ლარი დაიხარჯება, რათა დეგრადირებული ლანდშაფტების აღდგენა მოხდეს, – ამბობს გამგებლის მოადგილე.

ტყეების გაშენების სამუშოები გერმანიის ტექნიკური ცენტრის წარმომადგენელთა მეთვალყურეობით მიმდინარეობს. გაუდაბნოებასთან ბრძოლა დედოფლისწყაროში მეორე წელია მიმდინარეობს. გაშენდა ქარსაფარი ზოლები, ტყის კორომები. ამისათვის გერმანიის ტექნიკური განვითარების ცენტრმა 5 მილიონი ევრო გამოყო. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ პრობლემის გადასაჭრელად ბრძოლის დაწყება სწორედ ამ ცენტრის დახმარებით მოახერხა.

ვითარება მას შემდეგ გართულდა, რაც ქარსაცავი ხეივანი, შეშისა და ფიჩხის გამო, გადაჭრეს. მას შემდეგ მხოლოდ კლიმატის ცვლილება კი არ დაიწყო, შირაქის ველზე საკმაოდ არასაიმედო გახდა მოსავლის მოყვანა, რადგან ქარი მოსავალს მთლიანად ანადგურებდა. მიყენებული ზარალის შედეგებს დედოფლისწყაროელი ფერმერები დღემდე იმკიან.

**ლევან ბაღაშვილი (დედოფლისწყაროს გამგებელი):** – ადგილობრივი ხელისუფლება ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში განუწყვეტლად წერდა გარემოს დაცვის სამინისტროს, რომ გამოეყო ფინანსები ქარსაფრების გასაშენებლად, მაგრამ სახელმწიფოს საკმარისი ფული არ ჰქონდა, ამის შემდეგ გერმანიის განვითარების ცენტრმა გამონახა ფინანსები და ხუთწლიანი პროგრამის განხორციელება დაიწყო. შარშან დაირგო ხეები 1 500 ჰექტარზე. ეს არის სამმხრივი ხელშეკრულება გერმანიის ტექნიკურ ცენტრს, საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსა და დედოფლისწყაროს თვითმმართველობას შორის. ადგილობრივი ხელისუფლება ვალდებულია, უკვე დარგულ ქარსაფრებს მოუაროს, მორწყას და განადგურებისგან დაიცვას. ხის ნერგები სპეციალური პლასტმასის ფანერითაა დაცული, რომელიც სამი-ოთხი წლის შემდეგ თავისით დნება და გარემოს არ აბინძურებს.

საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრებნი ჟურნალისტებთან საუბრისას ქარსაცავი ზოლების მასობრივ განადგურებას იმ ფაქტს უკავშირებენ, რომ მათ სოფლებში ბუნებრივი აირის შეყვანა აქილევსის ქუსლად იქცა და ცისფერი ალი ამ დრომდე ვერ გამოჩნდა...

როგორც მუნიციპალიტეტის გამგეობაში განაცხადეს, პროექტი 5-წლიანია და ადგილობრივი ხელისუფლება ხის ნერგებს რეგულარულად რწყავს. სადაც ნერგმა არ იხარა, ახლით ანაცვლებენ.

საქართველოს ბუნების მოყვარულთა საზოგადოების წარმომადგენელი კახეთში კახა სუხიტაშვილი მიიჩნევს, რომ კლიმატის ცვლილებების შესახებ ამ სოფლების მოსახლეობის ინფორმირებულობა ძალზე მნიშვნელოვანია და თითეულ ადამიანს მის შეჩერებაში საკუთარი წვლილის შეტანა შეუძლია, ამიტომ არასამთავრობო ორგანიზაციები მაქსიმალურად ცდილობენ სამიზნე სოფლებიდან რაც შეიძლება მეტი მოქალაქე ჩართონ სხვადასხვა სახის პროექტსა თუ აქციაში.

**ილია მარტყოფლიშვილი,**
**კახეთიდან.**



**პრობლემა**

# მკვდარ ზღვას რომ არ დაემსგავსოს...

**ენერგეტიკული მომავალი შავი ზღვის აუზის ქვეყნებში, ბოლო დროს თურქეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობათა დაძაბვის ფონზე, რაც გაზსადენ „ნაბუკოს“ მომავალს ერთობ ბუნდოვანს ხდის, ასევე გაურკვევლობის ბურუსით იმოსება. ეს გარემოება, თავის მხრივ, მართალია არა პირდაპირ, თუმცა მაინც მნიშვნელოვნად ამძაფრებს შავი ზღვის ნავთობითა და გაზით მდიდარი შელფისთვის ბრძოლას, რომელიც, ფაქტობრივად, კარგა ხნის დაწყებულია. სპეციალისტების აზრით, შავი ზღვის შელფის ზოგიერთ ნაწილში ახალი პერსპექტიული ბლოკების დამუშავების დაწყება ახლო მომავალში სავსებით რეალურია, მით უმეტეს, რომ რუსეთმა ცოტა ხნის წინათ აფხაზეთის შელფის ამ სასარგებლო წიაღისეულით დიდი დაინტერესება გამოთქვა, რაც სამხრეთ კავკასიაში ისედაც უკიდურესად დაძაბულ მდგომარეობას უდავოდ კიდევ უფრო გაამძაფრებს.**

ნახშირწყალბადებით მდიდარი შავი ზღვის შელფის ათვისება დიდი ხნის დაწყებულია და მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში დიდი სარგებლის მომტანიცაა. თუმცა, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ერთიანად შელფზე სათანადო საძიებო-დაზვერვითი სამუშაოების ფართო გაშლას ხელს უშლის დაინტერესებულ მხარეთა მოქმედების ურეგლამენტობა, ასევე შელფური ზონების დანაწილების წესების დამდგენი შესაბამისი კანონმდებლობის უქონლობა. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ **საქართველოსთვის ეს კიდევ დამატებით პრობლემას ქმნის რუსეთის მიერ ტერიტორიის ნაწილის, კერძოდ აფხაზეთის ანექსიისა და მისი „დამოუკიდებლობის“ აღიარების გამო, რადგან აფხაზეთის შელფზე რაიმე სამუშაობის ჩატარება ქვეყნის ხელისუფლების დაუკითხავად, ვითარებას კიდევ უფრო გაამძაფრებს.** ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მიუხედავად ნავთობის მსოფლიო მარაგებთან დაკავშირებული პროგნოზების ბოლოდროინდელი ოპტიმალური ტონისა, ამ წიაღისეულის მთლიანი მოცულობა მაინც სასრულოა და ეს გარემოება, ცხადია, კიდევ მეტ სიცხარეს მატებს ამასთან მიმართებაში შავი ზღვის აუზის ზოგიერთი ქვეყნის ერთმანეთში ურთიერთობების ზოგიერთ ასპექტს.

რაც შეეხება **საქართველოს** შელფზე ნავთობის საპროგნოზო ოდენობას, სავარაუდოდ იგი დაახლოებით 1,5-2 მილიარდ ბარელს შეადგენს. ათი წლის წინათ შავი ზღვის შელფის კომპლექსური გეოფიზიკური მეთოდებით შესწავლა ორ ათას კვადრატულ მეტრ ფართობზე შემდგომი ნავთობმოპოვების გაშლის მიზნით ქართულ-ამერიკულმა საწარმო „ანადარკო-ჯორჯიამ“ წამოიწყო, რომელიც ცნობილი „ანადარკო კორპორეიშნ პეტროლეუმის“ შვილეული კომპანიაა. მაშინ გამოიკვლიეს საქართველოს სანაპიროს მიმდებარე მთელი შელფის ტერიტორია, ცხადია, აფხაზეთის ნაწილის გამოკლებით. სპეციალისტებმა დაახლოებით მილიარდნახევარზე მეტი ბარელი ნავთობის შემცველი სამი პერსპექტიული უბანი გამოავლინეს.

ამავე დროს გასათვალისწინებელია ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება: **ღია ზღვაში როგორც ნავთობის, ისე გაზის მოპოვებას დიდი, სირთულეების გარდა, სერიოზული ეკოლოგიური საფრთხეც ახლავს.** თანაც, მეცნიერებს დიდი ხანია განგაში აქვთ ატეხილი შავ ზღვაში 200 მეტრის სიღრმიდან მოყოლებული გოგირდწყალბადით გაჯერების თაობაზე – ამ ნიშნულიდან დაწყებული ზღვა, ფაქტობრივად, მკვდარია, მასში სიცოცხლე აღარ არის. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია ისიც, რომ შავი ზღვა და მისი თითქმის მთელი სანაპირო ზოლი ევროპული ტურიზმის ერთ-ერთი გამორჩეული რეგიონია, ამიტომ აქ მარტო მოპოვებითი კი არა, სასინჯი ბურღვითი სამუშაოებიც დიდი სიფრთხილითაა ჩასატარებელი. ამდენად, ზღვა ბოლომდე რომ არ „მოკვდეს“, გეოლოგებსაც და ნავთობმომპოვებლებსაც უდიდესი სიფრთხილე მართებთ.

ზღვის შელფის ზონაში ნავთობის თუ გაზის მოპოვება, ყველა ტექნიკურ სიძნელესთან და ეკოლოგიურ საფრთხესთან ერთად, მეტად ძვირი „სიამოვნებაცაა“, რომლის დროს თითოეული ჭაბურღილი დაახლოებით ხუთჯერ უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე ასეთივე სიღრმის ჭაბურღილი ხმელეთზე, რაც, ცხადია, სოლიდურ ინვესტიციებს საჭიროებს და, თავისთავად, წიაღისეულის ღირებულებას აძვირებს.

არადა, ჯერჯერობით შელფის თურქეთისა და საქართველოს ნაწილის (აჭარის ტერიტორიაზე ჩატარებულმა წინასწარმა სადაზვერვო ბურღვამ სასურველი შედეგი არ გამოიღო. გავრცელებული ხმების მიუხედავად, თითქოსდა პირველი უშედეგო სამუშაოების მერე რეგიონში ნავთობისა და გაზის საბადოების ძებნა-ძიება შეწყდება, „ანადარკო“ განაგრძობს შავი ზღვის შელფის საქართველოს სექტორში ბურღვით სამუშაოებს, რომლებიც, სავარაუდოდ, 2014 წელს დაიწყება.

**ოთარ ტურაბელიძე**

**ინფორმაცია თემაში**

***შავი ზღვის** შელფის ათვისებას აუზის ქვეყნები – საქართველო, თურქეთი, რუსეთი, უკრაინა, ბულგარეთი და რუმინეთი – თანდათანობით მეტი ინტენსივობით იწყებენ. კერძოდ, შავი ზღვის შელფის **რუმინეთის** სექტორში ნავთობის სამ საბადოს შვიდი პლატფორმა ამუშავებს, რომელთა საშუალებით ყოველწლიურად დაახლოებით სამ მილიონ ტონა წიაღისეულს იღებენ. რამდენიმე წლის წინათ ზღვის შელფის რუმინეთის სექტორში ნავთობის კიდევ რამდენიმე პერსპექტიული საბადო აღმოაჩინეს.*

*შელფის **ბულგარეთის** სექტორში დიდი ხანია ამუშავებენ ცნობილ გალატას გაზის საბადოს, საიდანაც ყოველწლიურად 400 მილიონ კუბურ მეტრზე მეტ ენერგოშემცველს იღებენ. აქვე იმასაც დავძენთ, რომ მისგან შორიახლოს აღმოაჩინეს კალიაკრას გაზის ახალი საბადო.*

*აღსანიშნავია, რომ ზღვის შელფზე გაზის მოპოვების მხრივ რეგიონის ქვეყნებს შორის სადღეისოდ **უკრაინა** ლიდერობს.*

*ზღვის შელფის თავის ნაწილში ნავთობმოპოვების სამუშაოები როგორც მეჩხერ, ისე ღრმა ადგილებში **თურქეთმა** ჯერ კიდევ ხუთი წლის წინათ დაიწყო. ამ ხნის მანძილზე გაზის რამდენიმე საბადო აღმოაჩინეს, რომელთაგან მეჩხერ წყლებში წელიწადში დაახლოებით მილიონ კუბურ მეტრ ენერგოშემცველს მოიპოვებენ, ხოლო ღრმა ზღვაში გაზშემცველობის პერსპექტიულ ბლოკებზე საძიებო სამუშაოებს, ჯერჯერობით, დადებითი შედეგი არ მოჰყოლია.*

*მიუხედავად იმისა, რომ **რუსეთს** ისედაც აუარება მოქმედი ნავთობისა და გაზის საბადო აქვს, ახლების ძებნა-ძიებასაც ინტენსიურად ეწევა, ბოლო დრომდე შავი ზღვის შელფის კუთვნილ ტერიტორიაზე სადაზვერვო სამუშაოების წარმოება არც უფიქრია, მაგრამ 2008 წელს საქართველოს მიმართ განხორციელებული აგრესიის შედეგად თავის გავლენის სფეროში, ფაქტობრივად კი ანექსირებული აფხაზეთის შელფის სექტორში, სადაც, წინასწარი მონაცემებით, ნავთობის მარაგი დაახლოებით 500 მილიონამდე ტონას შეადგენს, პრაქტიკული მოსამზადებელი სამუშაოები წამოიწყო.*

სხვა გაზეთიდან

*1943 წლის 5 აპრილს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე დაიწყო ბრძოლა საფრანგეთის ესკადრილიამ „ნორმანდია-ნემანმა“ – რუსეთში ყველაზე ცნობილმა უცხოეთის სამხედრო ნაწილმა, რომელიც ნაციზმს ებრძოდა წითელ არმიასთან ერთად. ამავე დროს სხვა ქვეყნების მოქალაქეებიც, ვინც საბჭოთა ჯარისკაცებთან ერთად ბერლინამდე მივიდა, საკმაოდ ბევრი იყო. უცხოელი მოხალისეები იყვნენ დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებშიც. გავიხსენოთ დღეს ისინი, ვისთან ერთადაც ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა ძნელი გამარჯვება 65 წლის წინათ. ტყუილად ხომ არ შედიან ამჟამად ისინი (სერბეთის, ბოსნიის, ჩერნოგორიისა და მაკედონიის გარდა, რომლებიც გამოეყვნენ დაშლილ იუგოსლავიას) ნატოში.*



# მხარდამხარ 1945-მდე

## ვინ იყო სსრ კავშირის მოკავშირე მეორე მსოფლიო ომში

### მოკავშირეების შეიარაღებული ძალები ევროპაში

| | |
|---|---|
| სსრ კავშირი | – 5 მლნ |
| აშშ | – 3,3 მლნ |
| დიდი ბრიტანეთი | – 2 მლნ |
| საბერძნეთი | – 56 ათასი |
| ალბანეთი | – 35 ათასი |
| ნორვეგია | – 12 ათასი |
| რუმინეთი | – 9 ათასი* |
| უნგრეთი | – 2,5 ათასი** |
| ნიდერლანდი | – 2 ათასი |
| დანია | – 884 |
| ბელგია | – 120 |

* *ბრძოლებში მონაწილეობას ღებულობდა 1944 წლიდან.*
** *ბრძოლებში მონაწილეობას ღებულობდა 1945 წელს.*



### საფრანგეთი

**1940 წელს გერმანიისგან გამანადგურებელი დამარცხების შემდეგ საფრანგეთი ვერმახტის მიერ ნაწილობრივ ოკუპირებული იყო.** ქვეყნის სამხრეთში 1942 წლამდე შენარჩუნებული იყო ვიშის რეჟიმი, რომელიც თანამშრომლობდა ნაცისტებთან. ამ ტერიტორიიდან პატრიოტულად განწყობილ ფრანგებს შეეძლოთ წასულიყვნენ ემიგრაციაში ინგლისში. ომის დამთავრებისთვის მოძრაობის – „მებრძოლი საფრანგეთი“ (ლიდერი შარლ დე გოლი) – შეიარაღებული ძალები 560 ათას კაცს შეადგენდა (მათში შედიოდა 8 დივიზია და 2 ავიაკორპუსი), აქედან 300 ათასმა მონაწილეობა მიიღო ნორმანდიაში გადასხმაში. „მებრძოლმა საფრანგეთმა“ 96 მოხალისე მფრინავი გაგზავნა სსრ კავშირში – ისინი იბრძოდნენ ესკადრილიაში (მოგვიანებით – ავიაპოლკში) **„ნორმანდია-ნემანი“**. სულ, დაახლოებით 24 ათასი პარტიზანის ჩათვლით, საფრანგეთმა საერთო საქმეში ჩართო თითქმის 600 ათასი ჯარისკაცი.



### იუგოსლავია

**გერმანია იუგოსლავიას თავს დაესხა 1941 წლის 6 აპრილს. ომი გაგრძელდა 12 დღე და დასრულდა ამ ქვეყნის დაშლით.** მაგრამ მალე იუგოსლავიის ტერიტორიაზე დაიწყო განსაკუთრებულად ძლიერი პარტიზანული მოძრაობა. სამწუხაროდ, **აჯანყებული კომუნისტები** (800 ათასი) ი.ბროზის (ტიტოს) ხელმძღვანელობით და დევნილობაში მყოფი მეფის მთავრობის მიერ მხარდაჭერილი ნაწილები ადვილად ვერ თავსდებოდნენ ერთმანეთთან. საერთო მტერზე გამარჯვების შემდეგ ამ უკანასკნელების ლიდერი **დრაჟე მიხაილოვიჩი** დახვრიტეს. ნაცისტებთან 1,1 მილიონი იუგოსლაველი იბრძოდა.

### პოლონეთი

**პოლონეთმა, რომელიც 1939 წელს ნაცისტური აგრესიის პირველი მსხვერპლი გახდა, უზარმაზარი წვლილი შეიტანა საერთო გამარჯვების საქმეში.** დაახლოებით 20 ათასმა პოლონელმა, მათ შორის მფრინავებმა და სამხედრო მეზღვაურებმა თავიანთი ხომალდებით, მოასწრო ინგლისში გაქცევა. იმ ჯარისკაცებისგან, ვინც ომის დაწყების დროისთვის საბჭოთა ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ, ჩამოყალიბდა 2 არმია. პირველი, რომელიც ცნობილია როგორც **ანდერსის არმია** (მისი მეთაურის – პოლონელი გენერლის გვარის შესაბამისად), იქმნებოდა დევნილობაში მყოფი პოლონეთის მთავრობის (ლონდონი) ხელშეკრულებით და გათვალისწინებული იყო მოქმედებისთვის დიდი ბრიტანეთის ინტერესების დასაცავად. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ეს არმია (200 ათასი კაცი) არ იბრძოდა. სამაგიეროდ იბრძოდა **„პოლონეთის ჯარი“** (400 ათასი კაცი), რომელიც ბევრისთვის ცნობილია ფილმის – „ოთხი ტანკისტი და ძაღლი“ მიხედვით. ამას გარდა, პოლონეთის ტერიტორიაზე ნაცისტებს ებრძოდნენ პროსაბჭოური პარტიზანული **„არმია ლიუდოვო“** (30 ათასი) და ლონდონის მთავრობას დაქვემდებარებული **„არმია კრაიოვა“** (380 ათასი). მთლიანად ნაციზმთან ბრძოლაში სხვადასხვა ფრონტზე მონაწილეობას ღებულობდა დაახლოებით ერთი მილიონი პოლონელი მოქალაქე.

### ჩეხოსლოვაკია

**1938-1939 წლებში ნაცისტების მიერ ოკუპირებულმა და უბრძოლველად დანებებულმა ამ ქვეყანამ მაინც გამონახა ძალები წინააღმდეგობისთვის.** ახალი ხელისუფლების ერთ-ერთი უკმაყოფილო იყო პოლკოვნიკი **ლუდვიკ სვობოდა.** ის 1939 წელს აღმოჩნდა სსრ კავშირში და მიიღო ჩეხოსლოვაკიის პოლკის შექმნის ნებართვა, საიდანაც შემდგომში წარმოიქმნა **პირველი არმიული კორპუსი** (32 ათასი კაცი). ინგლისელთა სარდლობით იბრძოდა I **ჩეხოსლოვაკური ჯავშანსატანკო ბრიგადა** (6 ათასი). დიდი ბრიტანეთისა და სსრ კავშირის სამხედრო-საჰაერო ძალების შემადგენლობაში მებრძოლი მფრინავების გათვალისწინებით, ჩეხოსლოვაკიის წვლილი საერთო გამარჯვებაში შეადგენს 46 ათას მებრძოლს.

**სერგეი ოსიპოვი,**
**დმიტრი სკურჟანსკი**

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

დღევანდელობა

## ნეტავ, რა დღეშია ჩვენი კულტურის ძეგლები?

**ნახევარი საუკუნის წინათ, 1959 წელს გამოვიდა ხელოვნებათმცოდნე თეიმურაზ ბარნაველის წიგნი „საქართველოს კულტურის ძეგლები“, ქართულ და რუსულ ენებზე.** წიგნის ორ ენაზე გამოცემა იმით იყო გამართლებული, რომ მას გაეცნობოდნენ აფხაზი, ოსი, სომეხი თუ სხვა ეროვნების მკითხველებიც. იგი უნიკალური წიგნია, რომლის მსგავსი არც ადრე და არც მას შემდეგ არ გამოცემულა. ფაქტობრივად თეიმურაზ ბარნაველის წიგნში თითქმის სრულად არის აღნუსხული ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე შემორჩენილი და სახელმწიფოს მიერ დაცული ქართული კულტურის ძეგლები: ეკლესია-მონასტრები, ციხე-გალავნები, კოშკები, ხიდები, აბანოები, საცხოვრებელი სახლები და სხვა, სულ 1382 ძეგლი. წიგნის რედაქტორია პროფესორი ვახტანგ ცინცაძე, წინასიტყვაობა ეკუთვნის აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილს, გამომცემელია საქართველოს კულტურის სამინისტრო.

აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დღევანდელმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ ამ წიგნის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაზარდა. დღეს საქართველოს აფხაზეთის სახით დაკარგული აქვს 8.700 კვ.მ. ტერიტორია, ხოლო ე. წ. სამხრეთ ოსეთის სახით – 3.800 კვ.მ. ტერიტორია, მათზე არსებული უნიკალური ისტორიული კულტურის ძეგლებით.

როგორც წიგნიდან ვიგებთ, გასული საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზეთში, კერძოდ: სოხუმში, ოჩამჩირეში, გულრიფშში, გაგრაში, გუდაუთასა და გალში სახელმწიფოსგან აღრიცხული, რეგისტრირებული და დაცული იყო 75 ქართული კულტურის ძეგლი. ამათგან უძველესია ბიჭვინთის სამონასტრო კომპლექსი. კარგია აქვე იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებას, 325 წელს, ქალაქ ნიკეაში ესწრებოდა ბიჭვინთის საეპისკოპოსო კათედრის მმართველი სტრატოფილე. სხვა ცნობა ისტორიამ აღნიშნული პიროვნების შესახებ, სამწუხაროდ, არ შემოგვინახა.

ე. წ. სამხრეთ ოსეთის ოთხ რაიონში: ცხინვალში, ზნაურში, ჯავასა და ახალგორში სახელმწიფოსგან რეგისტრირებული და დაცული იყო 78 ქართული კულტურის ძეგლი. ე. ი. ორივე რეგიონში შემორჩენილი და დაცული ყოფილა სულ 153 კულტურის ძეგლი, რაც საკმაოდ დიდი რიცხვია. რა მდგომარეობაშია დღეს ეს უძველესი ქართული კულტურის ძეგლები?

**დურმიშხან ციცაძე**

ინფორმაცია

## ვეტერანები მიიწვიეს, პრეზიდენტი – არა!

**მოსკოვში, 9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების 65 წლისთავზე ქართველი ვეტერანები დაპატიჟეს.**

ამის შესახებ ჟურნალისტებს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის თანაშემწემ სერგეი პრიხოდკომ განუცხადა.

რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამარჯვების დღის საზეიმო ღონისძიებებზე მიწვევას, პრიხოდკომ აღნიშნა, რომ „მისი დასწრება უადგილო იქნება“.

– საქართველოს პრეზიდენტის დაპატიჟებას არ ვაპირებთ, მაგრამ ქართველი ვეტერანები კი ჩამოვლენ. რატომ უნდა მოვიწვიოთ სააკაშვილი? როდესაც ადამიანი პოლიტიკურ გადაწყვეტილებას იღებს და ომის გმირების დიდების მემორიალს ანადგურებს, ასეთ შემთხვევაში მისი მოწვევა უადგილო იქნება, – განაცხადა მედვედევის თანაშემწემ და აქვე აღნიშნა, რომ მოსკოვში გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში სხვა ქვეყნის ლიდერების სტუმრობით მოხარულები იქნებიან.

შეგახსენებთ, რომ 9 მაისს მოსკოვში ფაშიზმზე გამარჯვების 65 წლისთავს აღნიშნავენ.

ХИ-ЭИВ-ЭНИ

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# საარჩევნო ალუფოთება

**გაეროს ადამიანთა უფლებების საბჭო კვლავ აყენებს მოგონილ ბრალდებებს ისრაელის მისამართით იმისთვის, რომ იგი თავს იცავს ისლამისტი ექსტრემისტებისა და ტერორისტებისგან იმით, რომ მათ ანადგურებს. ამ დროს ძველებურად უგულებელყოფს დემოკრატიული საქართველოს ტერიტორიის ნამდვილ უკანონო ოკუპაციას რუსეთის ფედერაციის ჯარებით. ობამას ადმინისტრაციაც პასუხისმგებელია იმისთვის, რომ მან მკაცრად დაგმო ისრაელი, რომელიც აპირებს დამატებითი საცხოვრებელი სახლების მშენებლობას იერუსალიმის აღმოსავლეთით ევროპულ სექტორში, მაშინ, როდესაც კვლავ დუმს ქართველების უკანონო გამოდევნისთვის თავიანთი სახლებიდან რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიიდან**

ცნობისთვის: 2008 წლის ზაფხულში რუსეთისა და სეპარატისტების პროვოკაციების სერიების შემდეგ აგვისტოს დასაწყისში საქართველომ განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებები წესრიგის აღსადგენად სამხრეთ ოსეთში. ამან გამოიწვია რუსეთის ჯარების მკაცრი შეტევა, ოკუპირებული აღმოჩნდა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის თვითგამოცხადებული ტერიტორიები, აგრეთვე საქართველოს სხვა რაიონები. რუსეთის ხუთდღიანი შეტევის დროს დაიღუპა საქართველოს 200-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე.

რუსეთის ჯარები და საიდუმლო პოლიცია რჩებიან ამ თვითგამოცხადებულ რაიონებში, რომლებიც 2008 წლის ბოლოს რუსეთმა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა. მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობამ და საერთაშორისო ორგანიზაციებმა დაგმეს ეს აქცია, რომელიც განხორციელდა საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევით.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, მისმა აღმატებულებამ ბატონმა გრიგოლ ვაშაძემ 2010 წლის 19 აპრილს გამართა ბრიფინგი გაეროს კორესპონდენტებისთვის ამ ტერიტორიებზე დამკვიდრებული ცხოვრების „სამწუხარო“ პირობების საკითხთან დაკავშირებით. 10 ათასი რუსი ჯარისკაცი, აგრეთვე საიდუმლო პოლიციის დამატებითი ძალები აგრძელებენ ერთ დროს ერთიანი საქართველოს რესპუბლიკის დაახლოებით 20 პროცენტის ოკუპაციას. იქ დამატებით იხსნება ხუთი სამხედრო ბაზა. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ბრალი დასდო რუს ოკუპანტებს „ეთნიკური წმენდის“ განხორციელებაში. ამჟამად, როგორც მინიმუმი, 400 ათასი ქართველი განეკუთვნება საშინაო ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა კატეგორიას. საქართველოს მშვიდობიან მოსახლეობას ძარცვავდნენ, მათზე იყენებდნენ ძალადობას და ასახლებდნენ მათ საკუთარი სახლებიდან. ასეთი გამოსახლება გრძელდება დღემდე.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან გამოდევნეს მღვდლები და მონაზვნები, რასთან დაკავშირებითაც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართველ კათოლიკეებს, ფაქტობრივად, აღარ გააჩნიათ შესაძლებლობა, გამოიყენონ თავიანთი რწმენა. აკრძალულია ქართული ენის სწავლება სკოლებში. რუსეთმა ემბარგო შემოიღო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე საქართველოდან. გაეროს საერთაშორისო სასამართლომ, ორ ქვეყანას შორის საქმის გარჩევის ჩარჩოში, რისი უფლებაც მას აქვს, მისცა რუსეთს განკარგულება, „თავი შეიკავოს რასობრივი დისკრიმინაციის ნებისმიერი აქციისგან“ ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ, მათ შორის „დაფინანსების, დაცვისა და მხარდაჭერის“ დისკრიმინაციული მოქმედების ფარგლებში, იმ რაიონებში, რომლებიც ოკუპირებულია რუსეთის ჯარების მიერ. რუსეთი არ ასრულებს ამ განკარგულებას. თუმცა ეგრეთ წოდებული სამართალდაცვის აქტივისტები მხოლოდ იმის შესახებ გაჰკივიან, რომ სათანადო წესრიგი არ არის დაცული ისრაელის ტერიტორიაზე.

რუსეთმა გამოიყენა თავისი ვეტოს უფლება გაეროს უშიშროების საბჭოში, რათა წაართვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შესაძლებლობა, გაგზავნოს საქართველოში თავისი მეთვალყურეები. რუსეთის წინააღმდეგობის მიუხედავად, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მაინც დაუჭირა მხარი რეზოლუციის ქართულ პროექტს ოკუპირებული ტერიტორიების დამტოვებელ ხალხთან დაკავშირებით. ამ რეზოლუციაში, რომელიც შარშან სექტემბერში მიიღეს, დაგმობილია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ქართული ტერიტორიებიდან მოსახლეობის „იძულებითი გადაადგილება“, მთლიანად არის მხარდაჭერილი გადაადგილებულ პირთა უფლება – დაბრუნდნენ იქ, აგრეთვე მოცემულია ამ ტერიტორიების განსაზღვრა, როგორც საქართველოს ნაწილისა. რეზოლუციაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ საჭიროა შემუშავდეს ყველა გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა ნებაყოფლობითი, უსაფრთხო და დაუბრკოლებელი დაბრუნების გრაფიკის შემუშავება. რუსეთმა უგულებელყო ეს რეზოლუცია და უარს აცხადებს მისცეს ლტოლვილებსა და გაადგილებულ პირებს თავიანთ სახლებში დაბრუნების საშუალება.



გენერალური ასამბლეის რეზოლუციაში არის გაეროს გენერალური მდივნის პან გი მუნის მოწოდება – წარმოდგენილი იქნეს გენერალური ასამბლეის განსახილველად ამომწურავი ანგარიში ამ გადაწყვეტილების შესრულების შესახებ. ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნეს მომავალ თვეში.

ამ დროს ქართველი ხალხი კვლავ იტანჯება რუსეთის საოკუპაციო ჯარების ყოფნით. გაეროს ადამიანთა უფლებების საბჭო არ ღებულობს რაიმე ზომებს ქართველი მშვიდობიანი მოსახლეობის უფლებების ყოველდღიურ დარღვევებთან დაკავშირებით. გაეროს უშიშროების საბჭო პარალიზებულია. რუსეთი კვლავ უარს აცხადებს პირდაპირ კონტაქტებზე საქართველოს ხელისუფლებასთან. ამის ნაცვლად იგი ჟენევის მოლაპარაკებაზე აგზავნის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შექმნილი მარიონეტული რეჟიმების წარმომადგენლებს. შეგახსენებთ, რომ ჟენევის მოლაპარაკება მიზნად ისახავს გადაუჭრელი პრობლემების მოგვარებას.

საგარეო საქმეთა მინისტრმა ვაშაძემ მადლობა გადაუხადა პრეზიდენტ ობამას იმისთვის, რომ იგი პირადად შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს, აგრეთვე იმისთვის, რომ ორ ქვეყანას შორის პოზიტიური სტრატეგიული ურთიერთობანი იქნა მხარდაჭერილი. საკმაოდ სამართლიანადაც. მაგრამ ჩვენ დაველოდებით, თუ როდის გამოვა თავად პრეზიდენტი ობამა ან სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი საჯარო და მკაცრი დაგმობით საქართველოს ტერიტორიების რუსეთის მიერ ოკუპაციასთან დაკავშირებით, თანაც ისეთივე ძალით, როგორც მათ დაგმეს ისრაელი.

FRONTPAGEMAG.COM

# თბილისი ემზადება ეროვნული კერძის სავაჭრო მარკის დასაცავად

**საქართველოს ხელისუფლებას იმედი აქვს, რომ ხაჭაპურის სავაჭრო მარკის დაცვით შეუძლია ქართული სამზარეულოსა და სასურსათო საქონლისთვის გახსნას ახალი ბაზრები შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპაში**

განსაკუთრებით ეს შეეხება ხაჭაპურს – ეს კალცონეს უფრო თხელი და მოცულობით უფრო დიდი ვარიანტია. ისევე, როგორც ბევრმა სხვა ქართულმა კერძმა სხვადასხვა ვარიანტით, ხაჭაპურმა მიიღო უფრო ფართო გავრცელება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. ასე, მაგალითად, რუსეთსა და უკრაინაში თხელ კერძს უმატებენ სოკოსა და ხორცს, რაც საქართველოში მკრეხელობის ტოლფასად მიაჩნიათ.

საქართველოს მთავრობას იმედი აქვს, რომ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის მიერ შექმნილი კანონპროექტი საშუალებას იძლევა შეიქმნას ხაჭაპურისთვის რეპუტაცია მთელს მსოფლიოში, რაც დაეხმარება საქართველოს მოიპოვოს სათანადო საერთაშორისო აღიარება ამ კერძთან დაკავშირებით, რაც მისი ეროვნული სამზარეულოს ბურჯია.

ამ კანონის თანახმად, საქართველოში შემოიღებენ სავაჭრო მარკების დაცვის ევროპულ სისტემას, რომელიც იქნება დამოწმება იმისა, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და სასურსათო საქონელი წარმოებული იქნება შესაბამისი ინგრედიენტებისა და ტრადიციული ტექნოლოგიების გამოყენებით. „შემოქმედებითი“ მიდგომა უკვე დაუშვებელი იქნება.

მიმდინარე წლის დასასრულისთვის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა წარმოადგინოს კანონპროექტი პარლამენტის განსახილველად.

პროდუქციის სერტიფიკაცია ვერ დაიცავს ხაჭაპურს მწარმოებლების მიმბაძველობისგან საქართველოს ფარგლებს გარეთ, მაგრამ აუკრძალავს მათ უწოდონ ამ კერძს „ხაჭაპური“, თუ იგი დამზადებული არ იქნება ინგრედიენტებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის განმარტებაში.

ამ ღონისძიების მიზანია – აიძულონ სხვა ქვეყნები დაიცვან საერთაშორისო მოთხოვნები ხაჭაპურთან დაკავშირებით. უკრაინასთან საქართველოს ამგვარი შეთანხმება უკვე აქვს. ქვეყანას განზრახული აქვს გააფორმოს ანალოგიური ხელშეკრულება ევროკავშირთან, რაც უზრუნველყოფს საერთაშორისო წესების დაცვას ევროპული ბლოკის ყველა 27 ქვეყანაში.

არა მხოლოდ ხაჭაპური იქნება წარმოებული სავაჭრო მარკით. ანალოგიური ზომები გათვალისწინებულია სხვა ეროვნული კერძების მიმართაც, მათ შორის სულგუნის მიმართაც, რომელიც ხაჭაპურის ძირითადი კომპონენტია და ტყემალთან დაკავშირებითაც.

დღემდე საქართველოს ხელისუფლების მთავარი საზრუნავი სერტიფიკაციის დარგში ღვინო იყო. 18 საექსპორტო ხარისხს აქვს სერტიფიკატი, რომლებშიც დაფიქსირებულია მათი დახასიათება და საქართველოს კუთვნილება.

ვარაუდი, რომ რუსეთი დაიცავს უფლებებს სავაჭრო მარკაზე, შეიძლება ზედმეტი იმედი აღმოჩნდეს. 2006 წელს რუსეთის ფედერაციამ აკრძალა ქვეყანაში ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შემოტანა, თუმცა რესტორნები რუსეთის დედაქალაქში ქართული სამზარეულოთი ძველებურად პოპულარობით სარგებლობენ.

თანამდებობის პირებს თბილისში იმედი აქვთ, რომ ქართული სამზარეულო და ღვინო ისეთივე პოპულარული გახდება ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპის ეროვნულ რესტორნებში, როგორც რუსეთისაში. სოფლის მეურნეობის მინისტრის ბაკურ კვეზერელის სიტყვებით, ხელისუფლება ამუშავებს ამერიკის შეერთებულ შტატებთან სამთავრობათაშორისო ხელშეკრულების დადებას ქართული ხილისა და ბოსტნეულის, აგრეთვე ხაჭაპურის სავაჭრო მარკების აღიარების შესახებ.

დარა გოლშტეინის სიტყვებით – მან 1993 წელს შეადგინა ქართული სამზარეულოსა და კულინარიული ტრადიციების რეცეპტების კრებული სახელწოდებით „ქართული ლხინი“, ქართულ პროდუქტებს აქვთ შანსი დაიმკვიდრონ ადგილი ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ზოგიერთი რესტორანი მომხმარებელს სთავაზობს ქართულ კერძებს, მაგრამ ყველაზე ხშირად მათ სთავაზობენ, როგორც „ნაკრებ სოლიანკას“, რაც შედგება ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების კერძებისგან და გათვლილია უმთავრესად ახალ იმიგრანტებზე. ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართული სამზარეულო რომ პოპულარული გახდეს, საქართველომ ქვეყანაში მეტი ტურისტი უნდა მიიზიდოს, გვირჩევს დარა გოლშტეინი. „სწორედ ასე მოიპოვა დიდი პოპულარობა აქ იტალიურმა სამზარეულომ“, – წერდა იგი.

ქართველმა ეთნოგრაფმა თედო სახოკიამ XX საუკუნეში დაადგინა, რომ ხაჭაპური პირველად დაამზადეს შუა საუკუნეებში საქართველოს ჩრდილოდასავლეთის მთის სოფლებში. დროთა განმავლობაში კერძი გავრცელდა მთელ ქვეყანაში, სხვადასხვა რაიონებში მას აცხობდნენ სხვადასხვა სახით და სხვადასხვა ფორმით, რასაც ზევიდან ადებდნენ ყველკვერცხის მასას, აგრეთვე, როგორც კალცონეს ტიპის ღვეზელს მაგრად მოხარშული კვერცხის შიგთავსით.

ქართველი მზარეულები, ვისთანაც ჩვენ მოგვიწია საუბარი, გაოცებული იყვნენ, რატომ ვერ მოიპოვა დღემდე ხაჭაპურმა გავრცელება ამერიკელ მომხმარებელთა შორის. თუმცა ერთ-ერთი თბილისელი მზარეულის სიტყვებით, იდეალური ხაჭაპურის მომზადება – ეს მხოლოდ ინგრედიენტების სათანადო პროპორციით არევა როდია.

„ხაჭაპური შეიძლება გამოაცხო ამერიკაშიც, მაგრამ ისეთი კერძები, როგორიცაა ხაჭაპური – ეს მხოლოდ რეცეპტურის დაცვა როდია, რაიმე წყლისა და მარილის დამატება“, – ამბობს ნანა ცანავა, – „ამას სჭირდება კიდევ ესეც და ესეც“, – დაუმატა მან და მიუთითებდა ხელებზე და გულზე.

EURASIANET.ORG

## დედამიწის ზურგზე



**კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაბეჭდეს კიმ ჩენ ირის მემკვიდრის პირველი ფოტო**

ცენტრალური გაზეთის „ნოდონ სინმუნის“ გვერდებზე გაჩნდა ჩრდილოეთ კორეის ამჟამინდელი ხელმძღვანელის ფოტო ვინმე ახალგაზრდა კაცთან ერთად. იაპონელმა ჟურნალისტებმა გააკეთეს დასკვნა, რომ ეს არის კიმ ჩენ უნი. სამხრეთ კორელ ჩინოვნიკებს ამისი არ სჯერათ.

* * *

**ვულკანური ფერფლის ღრუბლები ხუთშაბათისთვის დატოვებს ევროპის ტერიტორიას, ასეთ პროგნოზს აკეთებენ მეტეოროლოგები**



ღრუბელი ორ ნაწილად უნდა გაიყოს. ის ნაწილი, რომელიც დასავლეთისკენ წავა, 22 აპრილისთვის შეიძლება გაიფანტოს ატლანტიკის თავზე ჩრდილოეთ გრენლანდიის მიმართულებით მოძრაობის დროს. ღრუბლის აღმოსავლეთი ნაწილი შეიძლება გაიწელოს დასავლეთ ციმბირის ტერიტორიამდე. ამ დროს ევროპის სულ უფრო მეტი ქვეყანა ხსნის თავიანთ საჰაერო სივრცეს.

* * *

**ყირგიზეთის ხელისუფლებამ ნებართვა გასცა, ესროლონ მაროდიორებს და მან კვლავ შეცვალა შინაგან საქმეთა მინისტრი**



როზა ოტუმბაევამ განაცხადა, რომ მოქალაქეებზე მძარცველური თავდასხმების დროს „სამართალდაცვის ორგანოები გახსნიან ცეცხლს განადგურებამდე“. გასული ღამე ბიშკეკსა და მის მიდამოებში მშვიდობიანი იყო.

* * *

**პოლონეთში პრეზიდენტის არჩევნები 20 ივნისს გაიმართება**

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, არჩევნების თარიღის გამოცხადებასა და არჩევნებს შორის უნდა იყოს სულ ცოტა 60 დღე. როგორც ელოდებიან, დიდი ალბათობით, სახელმწიფოს ახალი ხელმძღვანელი გახდება პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ბრონისლავ კომოროვსკი. პრეზიდენტის სავარძლისთვის პრეტენზია შეიძლება ჰქონდეს ამჟამინდელ პრემიერს დონალდ ტუსკსაც.

* * *

**მედვედევი და იანუკოვიჩი ხარკოვში განიხილავენ გაზის მიწოდებას და შავი ზღვის ფლოტის საკითხს**

კრემლში არ გამორიცხავენ, რომ გაზთან დაკავშირებით მოლაპარაკება გამოვა. ვარაუდობენ, რომ უკრაინისთვის ფასდაკლება შესაძლებელია, თუ მოსკოვი მიიღებს კიევისგან სამაგიეროს. პრეზიდენტები შეხვდებიან საზღვრისპირა რეგიონების გუბერნატორებს.



## დიდი ტერორი?

ამავე დროს გარდაქმნები არ ყოფილა ისეთი გადამჭრელი, როგორც ეს ჩაფიქრებული იყო „დიდი ტერორის“ დაწყებამდე. სტალინმა მაინც ვერ განახორციელა თავისი ჩანაფიქრი – გამართულიყო თავისუფალი და ალტერნატიული არჩევნები. ეს სახიფათო იყო, ვინაიდან ტერორმა გამოაღვიძა არც თუ სახუმარო რევოლუციური ვნებანი. ისინი, რა თქმა უნდა, თანდათან დაცხრა, მაგრამ მათ მიერ დატოვებული კვალი ჯერ კიდევ ძალიან ძლიერი იყო. ასეთ პირობებში გამოცხადება პოლიტიკური დაპირისპირების დაწყების შესახებ ნიშნავდა ქვეყნის გაწირვას ტერორის მეორე რაუნდისთვის.

შემდგომ დემოკრატიზაციას წინააღმდეგობას უწევდა კიდევ ის, რომ ქვეყანა ომის მოლოდინში ცხოვრობდა. ხელმძღვანელობა ცდილობდა მის თავიდან აცილებას, მაგრამ მაინც განუწყვეტლივ ემზადებოდა მისთვის. ამან სამოქალაქო თავისუფლებათა შეზღუდვის მოთხოვნა გამოიწვია. 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულებით მუშაკებს ეკრძალებოდათ შრომითი ხელშეკრულების გაწყვეტა ცალმხრივად. მკვეთრად გამკაცრდა პასუხისმგებლობა შრომის დისციპლინის დარღვევისთვის, იგი სისხლის სამართლის საქმედ იქცა. ქვეყანა რვასაათიან სამუშაო დღესა და შვიდდღიან სამუშაო კვირაზე გადავიდა. დასავლეთში ახალი ტერიტორიების შემოერთებამ გააძლიერა რეპრესიული პოლიტიკა მათ მიმართ, ვინც არ ეთანხმებოდა ხელისუფლებას.

ყველა რესურსის სასწრაფო მობილიზაციის აუცილებლობამ გამოიწვია ის, რომ პარტია იძულებული იყო, დაბრუნებოდა სამეურნეო პროცესებში ჩარევას. ხელმძღვანელობის ახალ სისტემაზე გადასვლა მოითხოვდა დროს, ომი კი ძალიან შორს როდი იყო. ამიტომ სტალინმა მიიღო გადაწყვეტილება – კვლავ აემოქმედებინა პარტიული კომიტეტების ორგანიზაციული რესურსი სამეურნეო მიზნებისთვის მისი გამოყენების მიზნით. უკვე 1939 წლის სექტემბერში (მეორე მსოფლიო ომის დაწყების დროძ ზოგიერთ რეგიონში განახლდა ცენტრალური კომიტეტის საწარმოო-დარგობრივი განყოფილებების საქმიანობა. 29 ნოემბერს კი პოლიტბიურომ გამოაცხადა მათი ხელახლა შექმნა ადგილობრივ დონეზე.

დიდად სამწუხაროდ, სტალინმა მაინც ვერ მიიყვანა თავისი გარდაქმნები ბოლომდე. დაიწყო ომი, რომელმაც სრულიად შეცვალა ყველა ჩანაფიქრი. რეფორმებისთვის ვიღას ეცალა. მეტად გავრცელებულია თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც ომმა, მთელი თავისი ტრაგიზმის მიუხედავად, შექმნა ერთგვარი პირობები დემოკრატიზაციისთვის. ხალხმა, რომელმაც მოიგო ომი, თითქოს განიცადა სამოქალაქო თვითშეგნების ზრდა. ნაწილობრივ ეს ასეა, მაგრამ ამავე დროს ივიწყებენ, რომ ომში უწინარეს ყოვლისა იღუპება ყველაზე მამაცი და თამამი ხალხი, ვისაც ყველაზე მეტად აქვს ღირსების გრძნობა. ვფიქრობ, არ არის საჭირო ზედმეტად გავიხსენოთ იმის შესახებ, თუ როგორ მოწესრიგებულიყო ქვეყანა რყევების შემდეგ, რაც ომის მძვინვარების პერიოდში გადაიტანა. სტალინს, რასაკვირველია, რეფორმებისთვის დიდად არ სცხელოდა და ძნელია მას ამაში დასდო ბრალი.

დრო სტალინის წინააღმდეგ მოქმედებდა. ის ბერდებოდა, მისმა ინტელექტმა დაიწყო შეუქცევადი შეფერხებები, მისი რეაქცია შედარებით ნაკლებად მწვავე გახდა. ქვეყანა აღმერთებდა ბელადს, მაგრამ მისი გარემოცვა ხედავდა იმას, რაც ქვეყნისთვის შეუმჩნეველი იყო – ბუნებრივი დაბერების პროცესს ადამიანისა, რომელიც უზარმაზარი ქვეყნის სათავეში იდგა. შესაბამისად, ეს ადამიანი სულ უფრო და უფრო მეტად კარგავდა გავლენას თავის უახლოეს თანამებრძოლებზე. ცხადია, ასეთ პირობებში საჭირო იყო სასწრაფო ზომები, გადამჭრელი, და რაც მთავარია, იდეოლოგიურად გამჭვირვალე. საჭირო იყო ყველაფრისთვის თავისი სახელი გეწოდებინა და უარი გეთქვა მარქსიზმზე. მაგრამ სტალინი სხვა გზით წავიდა.

### წაგებული ბრძოლა ხალიჩის ქვეშ

30-იან წლებში სტალინს არ შეეძლო ღიად მოეხდინა მარქსიზმის თავისი უარყოფის დეკლარირება და წარმოეჩინა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სოციალიზმისადმი მიდრეკილება. ბევრმა ცნობილმა პარტიულმა მუშაკმა ისედაც ამოიცნო მისი განზრახვა და დაადგა აპარატული მანევრების, ანდა შეთქმულების გზას ბელადის ხელისუფლებისგან ჩამოშორების მიზნით. 30-იანი წლების მთელი ისტორია – ესაა სახელმწიფო-სტალინისტებსა და ორთოდოქს-ლენინელებს შორის ფარული ბრძოლის ისტორია. და ამ ბრძოლაში სტალინმა მოიპოვა გადამჭრელი გამარჯვება, განიმტკიცა თავისი პიროვნული ხელისუფლების რეჟიმი და დაადასტურა მისი სიცოცხლისუნარიანობა გერმანელებთან ომის დროს. 1945 წელს მან მოიპოვა არნახული პოპულარობა, გახდა ერთგვარი „ცოცხალი ღვთაება“. და აი აქ დადგა ნიღბის ჩამოშორების დრო, დრო – უარი ეთქვა მარქსიზმზე და სოციალური იდეოლოგიის ცენტრში დაეყენებინა სწორედ თავისი იდეები და თავისი პიროვნება. დე ფაქტო ასეც მოხდა, თუმცა დე იურე მარქსისა და ლენინისადმი, მათი დამანგრეველი ნიჰილიზმით, აპელაციაზე სტალინს უარი არ უთქვამს. ის აგრძელებდა მოქმედებას შეფარვით, იქით სწევდა მარქსიზმ-ლენინიზმზე საბოლოო შეტევის მომენტს.

ამასთან ერთად, სტალინი შეეცადა განეხორციელებინა ქვეყანაში ფართომასშტაბიანი პო-

ალექსანდრ ელისეევი

# 1937 წლის გამოცანის ამოხსნა

## „საუკუნის დანაშაული“ თუ ქვეყნის გადარჩენა?




ლიტიკური რეფორმა. ამ თავის ჩანაფიქრში ის ემყარებოდა ურყევ რეფორმატორს და ეროვნულ-ბოლშევიკს, ცენტრალური კომიტეტის მდივანს ა.ა.ჟდანოვს, რომელსაც რატომღაც „მკაცრი ხაზის“ ერთ-ერთ ყველაზე თანმიმდევრულ მომხრედ მიიჩნევენ და მიუთითებენ ზოშჩენკოსა და ახმატოვას დევნაზე. ამის გამო ჟდანოვი განსაკუთრებით არ უყვარს ჩვენს ლიბერალურ ინტელიგენციას.

ამ დროს ყველაფერი ასე მარტივად როდია. ჟდანოვი და მისი დაწინაურებული პირები ლენინგრადის პარტიულ ორგანიზაციაში სწორედ მფარველობდნენ ზოშჩენკოსა და ახმატოვას. სწორედ სკპ (ბძ ლენინგრადის საქალაქო კომიტეტმა, რომელსაც კონტროლს უწევდა ჟდანოვის ხალხი, მაისში დაამტკიცა ზოშჩენკო ჟურნალ „ზვეზდას“ რედკოლეგიის წევრად. თუმცა მანამდე მწერალი მკაცრად გააკრიტიკეს ჟურნალ „ბოლშევიკში“. მაგრამ უკვე სექტემბერში პოლიტბიუროს წევრთა ვიწრო სხდომაზე ჟდანოვს თავად მოუწია ბევრი კრიტიკული შენიშვნის მოსმენა იმ მდგომარეობისთვის, რომელიც ლენინგრადში შეიქმნა. მოხვდა ლიტერატორებსაც, კერძოდ, ზოშჩენკოსა და ახმატოვას. როდესაც იგრძნო, რომ მწვავე ზომებს ვერ ასცდებოდა, ჟდანოვმა მოამზადა და „გაახმიანა“ თავისი სახელგანთქმული მოხსენება, სადაც თავს დაესხა ზოშჩენკოსა და ახმატოვას. ისინი გარიცხეს მწერალთა კავშირიდან. მაგრამ, რაც ნიშანდობლივია, სწორედ ლენინგრადის საქალაქო კომიტეტმა დაუბრუნა ლიტერატორებს სასურსათო ბარათები, რომლებიც მათ ჩამოართვეს მწერალთა კავშირიდან გარიცხვის შემდეგ.

საერთოდ უსამართლობაა ინტელიგენციის მხრიდან ჟდანოვზე გაბრაზება. არა თუ ვინმე სხვა, სწორედ ის მოითხოვდა დაბეჯითებით ჟურნალ „ვოპროსი ფილოსოფიის“ გამოცემას, როდესაც დაძლიეს სტალინის წინააღმდეგობა, რომელიც თავდაპირველად ამ ღონისძიებას არ ეთანხმებოდა. ჟურნალის პირველივე ნომერმა პოლიტბიუროს საყვედური დაიმსახურა. „ვოპროსი ფილოსოფიის“ უკვე დახურვას აპირებდნენ, როდესაც ჟდანოვმა წაახალისა რედაქცია და აღნიშნა: „ნუ გეშინიათ, თქვენ არ გაწყენინებთ და მხარსაც კარგად დაგიჭერთ“. და მან დაბეჯითებით მოითხოვა გამოცემის გაგრძელება.

ჟდანოვი უცხოური ლიტერატურის გამომცემლობის თავგამოდებული დამცველი იყო, რომელიც მისი ინიციატივით წარმოიქმნა. გამომცემლობის დანიშნულება საბჭოთა მკითხველის საზღვარგარეთის მეცნიერთა უახლესი შრომების გაცნობა იყო. მარტო 1947 წელს მან გამოსცა ძლიერი სერია წიგნებისა, რომლებიც ეკუთვნოდათ დასავლელ ბიოლოგებს – ე.შრედინგერს, მ.ფლორკენს, ჯ.ნიდჰემს.

მიუხედავად იმისა, რომ ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი გ.ს.ბატიგინი უარყოფითადაა დამოკიდებული ჟდანოვისა და სტალინიზმისადმი, მაინც აღიარებს: „ეჭვი არაა, რომ ჟდანოვი მფარველობდა ფილოსოფიურ ინტელექტუალიზმს, მისი პირადი განათლებულობა არ შეიძლება არ დავაფასოთ...“

მაგრამ ეს ყველაფერი „ლირიკას“ შეეხება. პოლიტიკა კი. ფაქტები მოწმობენ, რომ ჟდანოვს აუცილებლად მიაჩნდა ფართომასშტაბური პოლიტიკური რეფორმების განხორციელება. 1946 წელს ცენტრალური კომიტეის მარტის პლენუმზე მას დაავალეს სათავეში ჩასდგომოდა პარტიის ახალი პროგრამის პროექტის შემუშავების კომისიას. მომავალი წლის შემოდგომისთვის პროექტი უკვე მზად იყო. იგი ითვალისწინებდა ღონისძიებათა მთელი კომპლექსის განხორციელებას ქვეყანაში. მაგალითად, სთავაზობდნენ ჩაერთოთ სსრ კავშირის მართვაში ყველა მოქალაქე (თავად მართვა უნდა შერწყმოდა სამეურნეო ცხოვრების მოწესრიგებასძ. ყველას, რიგრიგობით, უნდა შეესრულებინა სახელმწიფო ფუნქციები (საკუთარ პროფესიულ სფეროში მუშაობის შეუწყვეტლადძ. პროექტის შემმუშავებლების აზრით, სსრ კავშირში ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა უნდა ყოფილიყო მხოლოდ არჩევითი, თანაც უნდა მომხდარიყო საყოველთაო კენჭისყრა პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურისა და ყოფა-ცხოვრების ყველა დიდმნიშვნელოვან საკითხზე. მოქალაქეებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს უნდა მინიჭებოდათ უმაღლეს საბჭოში უშუალო მოთხოვნის უფლება.

მაგრამ 1947 წელს ყრილობა არ მოუწვევიათ, და პარტიის ახალი პროგრამაც არ მიუღიათ. სტალინს, ეტყობა, შეუძლებლად წარმოედგინა ასეთი გრანდიოზული რეფორმის განხორციელება „ცივი ომის“ პირობებში, რომელსაც ყოველ წუთს შეეძლო გადაზრდილიყო „ცხელ ომში“. მიუხედავად ამისა, ბელადმა გადაწყვიტა მოეხდინა კადრების მორიგი როტაცია.

გენერალისიმუსს ესმოდა, რომ ძველ სტალინურ გვარდიასთან ერთად „ფაფას ვერ მოხარშავ“. მოლოტოვი, მალენკოვი, კაგანოვიჩი, ბერია, ხრუშჩოვი – ძველი წრთობის ხალხია. ისინი კარგები იყვნენ 30-იან წლებში (განსაკუთრებით ლენინურ კომისრებთან შედარებითძ, მაგრამ რაიმე სერიოზული რევოლუციური (უფრო ზუსტად – კონტრრევოლუციურიძ ნაბიჯებისთვის უკვე ვეღარ ივარგებდნენ. საჭირო იყო ხელისუფლებაში ხელმძღვანელების ახალი გენერაციის შეყვანა, რომელიც ომის დროს ჩამოყალიბდა. ისეთებისა, როგორებიც იყვნენ პ.კ.პონომარენკო, პარტიზანული მოძრაობის ხელმძღვანელი, ან კოსიგინი, რომელმაც წარმოაჩინა თავი, როგორც ნიჭიერმა, ოფიციალური დოგმატიკისგან თავისუფალმა ეკონომისტმა (საინტერესოა ერთ-ერთი სტალინური სახალხო კომისრის – სოფლის მეურნეობისა – ი.ბენედიქტოვის ცნობა. ის ამბობდა, რომ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე სტალინმა თავის ოფიციალურ მემკვიდრედ სწორედ პონომარენკო დანიშნაო. მაგრამ ეს მან გააკეთა მისთვის დამახასიათებელი მანერით – საიდუმლოდ, რითაც ისარგებლეს კიდეც პირებმა სტალინის უახლოესი გარემოცვიდან, როდესაც დაუმალეს ქვეყანასაც და ხალხსაც ბელადის გადაწყვეტილებაძ. ამ მიზნისთვის საჭიროა ადგილის გათავისუფლება „ზევით“.

(დასასრული იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 14-73.

## მეგობრების ნაჩუქარი წიგნები

### გივი ჯახუას სათქმელი

**დალხინებული ბავშვობა რომ არ ჰქონია ჩვენს გივი ჯახუას, უკვე მისი ახალი წიგნის სათაურიდანაც ჩანს – „ჩემი სევდიანი მურუცხეფი“ (ვარსკვლავები). მერე კი მკითხველთან საუბრისას გვიმხელს, მართლაც რა გაჭირვებით გაიზარდა მამით ობოლი, რა ხშირად აჭამა ცხოვრებამ ძირსიმწარე, მაგრამ, სამაგიეროდ ტეხურისა და აბაშის წყლის პირას გაზრდილ ყმაწვილს ქართული სიტყვის სიყვარული მიამადლა ღმერთმა და დღეს უკვე ჩვენი ძვირფასი გივი ერთ-ერთი საინტერესო პროზაიკოსია, ცნობილი ჟურნალისტია, რუსთავს შებერებული საყვარელი კაცია, რომელ-**




**საც არც მგლინავობა დაჰკლებია და არც რუსთავში გამომავალი ჟურნალ-გაზეთების რედაქტორობა. ახლა იგი ჩვენი გაზეთის კორესპონდენტია ქვემო ქართლში და მრავალი კარგი პუბლიკაციით მკითხველთა ყურადღებას იმსახურებს.**

თუმცა გივი ჯახუა უპირველესად მაინც მხატვრულ სიტყვას ეჭიდება და არაერთი მშვენიერი წიგნის ავტორიცაა, რომელთაგან ერთ-ერთს, თავის დროზე, საქართველოს მწერალთა კავშირის პრემიაც კი მიენიჭა. მიმზიდველია გივის ეს ახალი წიგნიც, რომლის რედაქტორი გურამ გოგიაშვილი წინასიტყვაობაში აღნიშნავს: „გივის მოთხრობებისა და ნოველების გმირები არიან ადამიანები ვნებებით, საფიქრალითა და ტკივილით, სისხლსავსე პიროვნებები, რომელთაც იციან, ვინ არიან, რა უნდათ, საიდან მოდიან და საით მიდიან“.

ჰოდა, დიდხანს ენთოს შენი მურუცხია – ვარსკვლავები, ჩვენო გივი!

### ალბომიდან სიყვარული იღვრება

**ნეტა იმ დროს, იმ უნივერსიტეტს, მის კედელ-ყურესა და მის ბაღს – „შოთა ჩანტლაძის უნივერსიტეტს“...**

კოლორიტები არ გვაკლდა, მაგრამ **ომარ ქავთარაძე** სხვა იყო, სადაც ის იდგა, იქ ღიმილი ეფინებოდა ყველას და ყველაფერს, ომარ ქავთარაძე რომ გიტარას ატკარცალებდა უნივერსიტეტის კლუბისსცენაზე ოლიმპიადების დროს, ომარ ქავთარაძე რომ „ფუნაგორიას“ აცხობდა ზოგიერთ პროფესორ-მასწავლებლებზე, ეს, სწორედაც




რომ ნიჭის სიკასკასე იყო. ჰაი, ჰაი, რომ სერიოზულად არ ჩაჯდომია არც გიტარასა და არც ლექსის წერას. ახლა რომ ერთად შეუკრავს წლობით აქაიქ მიმოფანტული სტრიქონები, ესეც სულ თამაშ-თამაშითაა ნაწერი, ახლობლებისთვის, მეგობრებისთვის გულწრფელად ნათქვამი... ეს წიგნი ვერ დაიპყრობს სიგრძე-განედებს, ამას მისი სათაურიც ადასტურებს – **„საალბომო პოეზია“**, მაგრამ რაცაა, სულ ღიმილ-ღიმილით (ზოგჯერ სევდითაცძ, სიყვარულით არის გამთბარი და ეს ჩვენი ომარ ქავთარაძის სამყაროა.

ვილენ მარდალეიშვილი

კალათბურთი

# სიძე, შე ძველო!

**მაშ ასე, სუპერლიგის ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან საუ-თსუ და „ენერჯი ინვესტი“ – შსს. მათი პლეი-ოფები 25 აპრილს დაიწყება და 3 მოგებამდე გაგრძელდება.**

უძლიერესთა კვარტეტში უკანასკნელებმა სასოფლოელებმა და ძალოვნებმა გააღწიეს. მათ მეოთხედფინალური სერიის მოსაგებად დამატებითი მესამე მატჩები დასჭირდათ.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსნი არჩილ ქლენტის შეგირდები არიან, რომლებმაც „ბათუმს“



გადამწყვეტი ჩხვლეტა სტუმრად მიაყენეს – 88:87. ზღვისპირელთათვის საბედისწერო აღმოჩნდა მათი ლიდერის იმნაძის (22 ქულაძ მეხუთე პერსონალური შენიშვნა, მის არყოფნაში კი ლექავას აქტიურობა (26 ქულაძ წარმატებისთვის საკმარისი არ გამოდგა. გამარჯვებულთაგან თავი ნიკოლაძემ (16 ქულაძ, ირაკლი ბერიშვილმა (15 ქულაძ და ათუაშვილმა (14 ქულაძ ისახელეს.

რაც შეეხება აგრარული უნივერსიტეტის გუნდს, მან თბილისის „დინამოსთან“ სოლიდურ უპირატესობას შესვენებამდე მიაღწია 48:26 და მხოლოდ ბოლო წუთებზე მისცა მეტოქეს ანგარიშის შემცირების საშუალება – 98:91. სასოფლოელთა ახალდაოჯახებულმა კაპიტანმა ბექა წივწივაძემ პარტნიორებს 18 ქულა შეაწია, დამარცხებულთაგან კი ასეთივე მონაგრით ლონდარიძე გამოირჩა.

**გიორგი შოთაძე**

ფრენბურთი

# ფინალებს ქუთაისი უმასპინძლებს

**დიდი ჯიხაიშის პროფესიული სწავლების ცენტრის სპორტულ დარბაზში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა ფრენბურთელ ქალთა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტურის მატჩები. შეჯიბრებაში სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის შვიდი გუნდი მონაწილეობდა.**

დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ გათამაშების ცხრილს სათავეში თბილისის პირველი ნაკრები მოექცა, რომელმაც ქვეყნის უცვლელ ჩემპიონს – დიდი ჯიხაიშის „ჯიკოს“ სძლია. მესამე-მეოთხე ადგილები აჭარისა და ბოლნისის წარმომადგენლებმა დაიკავეს. ოთხივე გუნდი 28-29 აპრილს ფინალში იასპარეზებს, რომელსაც ქუთაისის სპორტის სასახლე უმასპინძლებს.

**იორამ ნიკოლეიშვილი.**
**სამტრედია**

ფეხბურთი

# ჟოზეს ყვავილობა

**რამდენიმე წლის წინათ, როცა ესპანეთის სამეფო თასის გათამაშების ფინალი მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუზე“ იყო დანიშნული, „ბარსელონამ“ საპასუხო ნახევარფინალური მატჩი საკუთარ „კამპ ნოუზე“ დათმო „ბილ-**



**ბაოსთან“. მაშინვე გამოითქვა ვარაუდი, რომ კატალონიელები მეტოქეს შეგნებულად დანებდნენ – მარადიული მტრის მშობლიურ სტადიონზე საშინელი დახვედრა ელოდათო.**

მოგეხსენებათ, წლეულს პირენეის მთავარი სარბიელი ჩემპიონთა ლიგის გადამწყვეტ შეხვედრას უმასპინძლებს. ჰოდა, ჰოი საოცრებავ – აქა-იქ უკვე გაისმის ხმები, კატალონიელები ამჯერადაც თავს აარიდებენ ქვეყნის დედაქალაქში ტიტულის დაცვასო. ჭორიკნებს ასეთი „სიბრძნის“ გადმოფრქვევის საბაბი გარკვეულწილად მილანში გამართული პირველი ნახევარფინალის შედეგმა მისცათ, მაგრამ, ხომ გაგიგონიათ – ენას ძვალი არა აქვს. კი ბატონო, ილაპარაკონ, რამდენიც უნდათ. ამით „ინტერისა“ და მისი გენიალური მწვრთნელის წარმატებას ვერავინ დაჩრდილავს.

**„ინტერი“ – „ბარსელონა“ 3:1 (1:1ძ**

**გოლები:** სნეიდერი, მაიკონი, მილიტო, პედრო.

როცა ზემოთ ჟოზე მაურინიუს ტალანტი განსაკუთრებული ეპითეტით შევამკეთ, ოდნავადაც არ ავყოლილვართ ემოციებს. პორტუგალიელი სპეციალისტი სისტემატურად ადასტურებს უმაღლეს პროფესიონალიზმს და დასამტკიცებელი არავისთან არაფერი არა აქვს. თუ ვინმე სხვაგვარად ფიქრობს, შევახსენებთ, რომ მისი ხელმძღვანელობით „პორტუმ“ უკვე მოიგო ყველაზე პრესტიჟული ევროპული საკლუბო ტურნირი, ხოლო „ჩელსი“-და „ინტერი“ პრემიერლიგისა და „სერია-ა“-ს მწვერვალზე აიყვანა, თანაც ნუ დაგვავიწყდება სიმბოლური ფაქტი – მისი, როგორც მწვრთნელის ფორმირება, სწორედ „ბარსელონაში“ დაიწყო, სადაც რობსონისა და ვან გაალის ასისტენტად მუშაობდა.

ეს ისე, სხვათა შორის, ახლა კი, მოდით, ხარკი მთლიანად „შავლურჯთა“ დიდი გამარჯვების მიმართ გავილოთ.

უპირველესად, დასაფასებელია ის კოლოსალური შრომა, რაც მასპინძელთა შტაბს მრისხანე მეტოქის დამანგრეველი ტაქტიკის გასაშიფრად გაუწევია. საილუსტრაციოდ სტუმართა მარჯვენა ფლანგის დასახელებაც კმარა, სადაც ისე იყო გადაკეტილი სივრცეები, რომ დანი ალვეში უჩვეულოდ პასიურად გამოიყურებოდა. აღარაფერს ვამბობთ მესის სამაგალითო მეურვეობაზე, რომელსაც, ცხრათავიანი გველეშაპის არ იყოს, რამდენიმეჯერ უწევდა ერთიდაიმავე მოწინააღმდეგის მოტყუება, ეს კი, ბუნებრივია, ენერგიის ზედმეტ ხარჯვას და იერიშების სიმწვავის შენელებას იწვევდა.

გასათვალისწინებელია ტრავმირებული ინიესტას არყოფნა და ისლანდიაში ამოფრქვეული ვულკანის როლიც, რამაც „ბროწეულისფერებს“ დამატებითი პრობლემები შეუქმნა და მათ იტალიაში ავტობუსით ორდღიანი მარათონული მგზავრობის შემდეგ ჩააღწიეს, მაგრამ უნდა ვაღიაროთ მთავარი: ასეთ თამაშს შემთხვევით ვერ აჩვენებ.

**გია პლატონიშვილი**

ნიჩბოსნობა

# დინასტია საშაბუროდან

**საქართველოს ჭაბუკ ნიჩბოსანთა მთავარი მწვრთნელების – შალვა მუსოევისა (ზაიდარაძ და მალხაზ მიქაძის (კანოეძ ხელმძღვანელობით 6 გოგონა და 9 ვაჟი ემზადებოდა ბაზალეთის ტბაზე მორიგი შეჯიბრებისთვის. საწვრთნელი შეკრების დასკვნით დღეს საკონტროლო პაექრობებიც გაიმართა.** ზაიდარებით 1000 მეტრზე ასპარეზობისას პირველ ადგილზე ეკა შაბურიშვილი გავიდა. მესამე ადგილი კი მისმა დამ თეონამ დაიკავა. ისინი დუშეთის რაიონის სოფელ საშაბუროს საჯარო სკოლის მოსწავლეები არიან. ეკა მეათეკლასელია, თეონა მე-6 კლასში სწავლობს. წელიწადიც არ არის, რაც ნიჩბოსნობაში შალვა მუსოევისა და გოჩა ჩიხაშვილის ხელმძღვანელობით ვარჯიშობენ. თეონამ წლეულს საქართველოს პირველობაზე (1000 მძ თანატოლთა შორის ყველას აჯობა. უფროს დას მეტი წარმატებები აქვს: შარშან ახალგაზრდებს შორის 500 მეტრზე ოქროს მედალი დაიმსახურა, მერე ერევნის საერთაშორისო ტურნირიც მოიგო. წლეულს



აზერბაიჯანის საერთაშორისო შეჯიბრებაში 200 მეტრზე მეორე იყო, 500 მეტრზე კი მესამე ადგილი დაიკავა.

დებს არც მეცხრეკლასელი ძმა – გიორგი შაბურიშვილი ჩამორჩება. შარშან მან კანოეთი საქართველოს პირველობაზე 500 მეტრ დისტანციაზე გაიმარჯვა. ახლა სამივენი წლევანდელი ტურნირებისთვის ემზადებიან. უახლოესი შეჯიბრება ფოთში 26 მაისს გაიმართება – ზღვისპირეთი ოლიმპიური ჩემპიონის ვიქტორ კრატასიუკის მემორიალს უმასპინძლებს.

**ვაჟა დანელია**

ღვაწლი

# ამაგი ორდენით დაუფასეს



**ბავშვობა მწყემსობაში გაატარა – ობოლ ჭაბუკს საკუთარი შრომით უნდა ერჩინა თავი. ბევრი ხიფათი გადახდენია თავს, რამაც გამოაწრთო. კეთილი ადამიანების დახმარებით გორში „შოფრობა“ ისწავლა და ქართული ჭიდაობის ფანდებსაც გაუგო გემო. არჩევანი სამბოზე შეაჩერა – მისი ახალგაზრდობისას სპორტის ეს სახეობა ყოფილ საბჭოეთში დიდ პატივში იყო.** შოთა ზუკაკიშვილმა ყმაწვილურ გატაცებას არ უღალატა – ბოლომდე შემორჩა სამბოს. აქტიურ სპორტს რომ ჩამოშორდა, მწვრთნელობას მიჰყო ხელი. ოთხი ათეული წლის განმავლობაში ბევრი სახელოვანი ათლეტი გაზარდა. მის შეგირდთაგან 104-მა სპორტის ოსტატობა დაიმსახურა. მწვრთნელობას კარიშვილიც მიიწვიეს. უშეცდომოდ ჩატარებული შეხვედრებისთვის მას საერთაშორისო კატეგორიის, შემდეგ კი ექსტრა-კლასის არბიტრის წოდება მიანიჭეს და „ოქროს სასტვენით“ დააჯილდოვეს. მრავალჯერ დაუსახელებიათ თავის ამპლუაში მსოფლიოში 10 საუკეთესოს შორის, გასული საუკუნის მიწურულს კი საქართველოში სულაც პირველობა ერგო.

ბარჯა დაუფასდა ამაგდარ პიროვნებას – მრავალი ჯილდოს მფლობელს სამბოს განვითარებაში შეტანილი წვლილი ღირსების ორდენით დაუფასეს. 85 წლის იუბილესთან დაკავშირებით მართლაც რომ ჩინებული საჩუქარია.

ჩვენც გულით ვულოცავთ დაბადების დღეს ბატონ შოთას, სა-



გად უთავსებდა არბიტრობასაც. 45 წელიწადია, საქართველოს სამბოს ფედერაციის მსაჯთა კოლეგიას ხელმძღვანელობს.

1972 წელს სამბისტთა ევროპის პირველ ჩემპიონატში შოთა ზუკამი შვილის მამას, ოთხი შვილიშვილისა და სამი შვილთაშვილის პაპას ჯანის სიმრთელესა და ხანგრძლივ სიცოცხლეს ვუსურვებთ.

**ლექსო ცინცაძე**

ინტერნეტიდან

## უიმბლდონის ჩემპიონებს – მილიონი გირვანქა




**როგორც ცნობილი გახდა, წლევანდელი „დიდი მუზარადის“ გათამაშების მესამე საჩოგბურთო ტურნირის – უიმბლდონის გამარჯვებულები 1 მილიონ გირვანქა სტერლინგს (1,53 მილიონ დოლარსძ მიიღებენ, რაც 150 ათასი გირვანქით მეტია შარშანდელზე და ორჯერ მეტი, რაც 10 წლის წინათ იყო.**

„ეს ძალზე მნიშვნელოვანია. ჩვენ ვცდილობთ, შევთავაზოთ საპრიზო ფონდი, შესაბამისი აღნიშნული ტურნირის პრესტიჟთან და სტატუსთან“ – უთქვამს ამ ტურნირის ერთ-ერთ ორგანიზატორს ტიმ ფილიპსს.

2010 წლის უიმბლდონის საერთო საპრიზო ფონდი, ტურნირი კი 21 ივნისიდან 4 ივლისამდე გაიმართება, 13,725 მილიონი გირვანქა სტერლინგია. როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის გამარჯვებულნი მიიღებენ 500 000 გირვანქას.

შარშან როჯერ ფედერერმა და სერენა უილიამსმა გაიმარჯვეს.

## მარიუშს საყვარლები არ ელევა

**ამბობენ, რომ რუმინელმა ხელბურთელმა მარიუშ ნოვანცმა დიდად არ განიცადა მომღერალ ნიკოლეტა დრეგანთან განშორება. ის ხშირი სტუმარია ბუქარესტის ღამის კლუბებისა ისეთი ლამაზმანების გარემოცვაში, როგორებიც არიან იულია ვენტური, კარინა უნგურიანუ (ფოტოზეძ, როქსანა ილიე და ილინკა ვანდიჩი.**



როგორც VDT იტყობინება, მარიუში ისევ მიიზიდა მუსიკის სამყარომ, უფრო სწორად, იქაურმა ლამაზმანებმა. მისი ახალი სატრფო, როგორც ამბობენ, ალბათ გახდება მომღერალი ჯულია, ისინი უკვე რამდენიმეჯერ ნახეს ერთად. თუმცა ბოროტი ენები იმასაც ამტკიცებენ, რომ სწორედ ჯულია გახდა მარიუშის ნიკოლეტასთან განშორების მიზეზი. მაგრამ ამას უკვე აღარა აქვს მნიშვნელობა – ახლა ხომ მთავარი გაზაფხული და სიყვარულია.

ხსოვნა გულისა

# მისი „ვარსკვლავის“ სიკაშკაშე






**ნაადრევად წავიდა და დატოვა ტკივილი, სევდა... თუმცა, რას გაუგებ წერამწერალს... წავიდა, მაგრამ ამ ახალგაზრდა შემოქმედმა — ნიჭიერმა პოეტმა და მსახიობმა — ღრმა კვალი დააჩნია უფროსი თუ ახალგაზრდა თაობის ხსოვნას...**

ნიკო გომელაურის ხსოვნის დასტური კი უკვე გაჩნდა „თავისუფალი თეატრის“ წინ — აქ 20 აპრილს გაიხსნა მისი „ვარსკვლავი“. თეატრის წინ თავი მოიყარეს ადრე წასული კაცის ახლობლებმა, თაყვანისმცემლებმა...

კიდევ ერთხელ ისაუბრეს ნიკოს პოეტურ თუ სამსახიობო შემოქმედებაზე და დალოცეს მისი „ვარსკვლავის“ სიკაშკაშე.

**ალუდა ნიქაბაძე**

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

ეკოლოგია

# „რომ შემეძლოს, დედამიწას დაბადების დღეს გადავუხდიდი“

**მთაწმინდაზე ავედი, თბილისისთვის მინდოდა თვალი შემევლო. გადმოვიხედე ზემოდან და... ვაი, შენ ჩემო თავო! ადრე მთაწმინდიდან იშლებოდა ზღაპრული სანახაობა. მთლიანად მწვანე ქალაქში გედებივით ამოწვერილი იყო ეკლესიათა გუმბათები. ახლა კი სირუხემ შთანთქა მთელი ქალაქი. მხოლოდ პატარა მწვანე კუნძულებია... ზამთარ-ზაფხულ მთაწმინდის ტყე-პარკში ფრინველთა ჟივილ-ხივილი ადამიანის სმენას ატკბობდა... ისინიც კი სადღაც გაქრნენ.**

დავიჯერო, საქართველოს ბუნებას მხოლოდ 2008 წლის ინტერვენციამ მოუღო ბოლო?!

არა!!! საქართველოს ბუნებას ქართველობამ შეუტია! ქართველმა კაცმა ბუნების დამცველი კანონი ჯერ თავის სასარგებლოდ მოირგო და მერე ხერხი და ნაჯახი აიღო. უტყვ, მაგრამ ცოცხალ ბუნებას ბოლო მოუღო. დარწმუნებული ვარ, ასეთი კაცი სამოთხეში მოხვედრაზე ოცნებობს, მაგრამ წარმოვიდგინოთ, სამოთხეში ის ვაჟა-ფშაველას შეხვდა. ნეტა რას უპატაკებს?..



ახლა ლირიკა გადავდოთ და რეალობას დავუბრუნდეთ. იმ რეალობას, რომლიდანაც ჩვენს კანონმდებლობაში მწვანე ნარგავების დაცვის მუხლები ამოგდებულია. იყო დრო, როცა ერთი ხის მოჭრაც კანონდარღვევად ითვლებოდა. ახლა ხეს კანონი აღარ იცავს. მერე რა, რომ ქალაქის მერი ქალაქის გამწვანებაზე ალაპარაკდა, მაგრამ სინამდვილეში რა გამოდის?

ასწლოვან ხეებს უმოწყალოდ ვუღებთ ბოლოს და გოჭის კუდის ხელა ნერგებს, რომლებიც ან გაიხარებენ ან არა, ვრგავთ! ყურად არ ვიღებთ ჩვენი პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ქადაგებას: „დარგე თორმეტი ხე, თორმეტი მოციქულის სახელზე“...

საბედნიეროდ, საქართველოში თითოოროლა კაცი მაინც მოიძებნება, რომელმაც ბუნების დაცვა საჯაროდ იკისრა.

მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის წინ უამრავი ბავშვი იყო შეკრებილი, რომელთაც წარწერებიანი მაისურები ეცვათ: „დაიცავი ბუნება“, „მოვუაროთ ბუნებას, დავასუფთავოთ“, „ჩვენ ერთი პლანეტის შვილები ვართ“... დადეს ბუნების ერთგულების ფიცი, ასფალტი მოხატეს და ჰაერში გაუშვეს 100 ცალი საჰაერო ბუშტი.

აქ შეკრებილები მხოლოდ ერთმა მიზეზმა გააერთიანა. ალბათ, კითხვა დაგებადებათ, ნეტა რა მიზეზი უნდა იყოსო? რა და დღეს დედამიწის დაბადების დღეა! დედამიწას დაბადების დღეს 40 წელი შეუსრულდა.

— დედამიწის დღე გაზაფხულზე აღინიშნება. ის 1970 წლის 22 აპრილს სენატორმა გეილორდ ნელსონმა დააარსა. საქართველოში ამ დღეს 1990 წლიდან აღნიშნავენ. მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში კი 1995 წლიდან, რომელიც ჯეოსელის ორგანიზატორობით იმართება, — გვეუბნება გეოეკოლოგიის წრის ხელმძღვანელი ეკა ელიზბარაშვილი.

სასახლის ლექტორიუმში წარმოდგენილი იყო გეოეკოლოგიის წრის წევრთა მიერ ჩატარებული ღონისძიებების ფოტომასალა, ნახატები და პლაკატები.

მოსწავლეები გამოვიდნენ სიტყვით, მათ ისაუბრეს დედამიწის დღის ისტორიაზე, ქალაქ თბილისის ეკოლოგიაზე, უჩვენეს ვიდეომასალა გარემოს დაცვის საკითხებზე.

„რომ შემეძლოს, დედამიწას დაბადების დღეს გადავუხდიდი. არაფერს მოვაკლებდი, მცენარეებს გავამრავლებდი, მოვრწყავდი, დედამიწას მოვლა სჭირდება. არაფერი არ უნდა გავანადგუროთ, პირიქით უნდა მოვუაროთ“, — ეს ჩანახატი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის კურსდამთავრებულმა ნიკა ნაჭყებიამ რამდენიმე წლის წინათ დედამიწის დღეს მიუძღვნა.

დროა, გამოვფხიზლდეთ! ამ დღეს მაინც გავუფრთხილდეთ ჩვენს დედამიწას, ჩვენს საქართველოს, თითოეულ ქალაქსა თუ რაიონს!

**ეკა მაშიანოვა**

წიგნი

# მწვანეკლული დღეების მწიანი ღამე

**რაფიელ გელანტიას ნარკვევებისა და მოთხრობების კრებული „ნა-ან-ა ჩვენი, აფხაზეთი“ მძიმედ, ძალზე მძიმედ იკითხება.**

**ერთი შეხედვით, უსიხარულო წიგნია — ნაღველითა და დარდით სავსე.**

უამრავ ვაებას, კვნესასა და გოდებას, ცრემლსა და ცრემლის მდინარეებს იტევს...

ცა სულ ტირის ამ წიგნში;

ამ წიგნში შემოდგომის ფოთლებივით ყრია მოშულარ ძმათა მიერ დაქცეული და დანაფოტებული აფხაზეთი...

ომს სიყვარულიც უდასაბამო გაუხდია თითქოს, — გამქრალა მეგობრობისა და ერთურთ თანადგომის დასაბამიერი ძაფი.




სიკვდილი გამეფებულა ირგვლივ, მიწა ძმათა სისხლით გაჟღენთილა, — დაცარიელებულა აყვავებული და სიცოცხლითსავსე ოდაბადე...

წიგნში შესული მოთხრობები და ნარკვევები დევნილობაში შექმნა ავტორმა.

— ახლა, ამდენი წლის შემდეგ, გაუსაძლისი მონატრების სხივების კონა ფანჯარასა და ყრუ კედელს შორის ანათლიერდა და ვწერო, — გვამცნობს იგი.

— ვწერო მამის მოძულე შვილებზე, მოჩხუბარ ძმებზე, მიწაწართმეულ და ლამის დაშლილ ქვეყანაზე, დაშიებულ შვილებზე და გამათხოვრებულ დედებზეო...

— ვწერო, ომისა და ძალადობის უგუნურებასა და მის დაუშვებლობაზე, ომის შვილებსა და მათ შვილიშვილებზეო...

— ვწერო იმაზე, რამაც დაამარცხა და კვლავაც გაიმარჯვებს ომზე — აფხაზთა და ქართველთა სისხლის და სულის ერთობა, დაუყოფლობა მიწისა და ცისა, წესისა და ადათისა, რომელიც ასეთად შექმნა არსთა გამრიგემ და ასეთად დარჩება მარადჟამ.

გასაკვირია, მაგრამ იმედიანად წერს.

გვაჯერებს, რომ მისი სამშობლო ისევ გამთლიანდება, რომ საერთო სამშობლოს სიყვარულის გასაკვირველი გრძნობა ისევ დაბრუნდება, მოწყალებასა და სათნოებას ისევ აეგება მირიადი ქანდაკი და აფხაზეთის მოწყენილ სოფლებზე და ქალაქებზე ისევ გარდმოვა მანათობლის სიცხოველე.

ერთიანად გამრავლდება ქართველთა და აფხაზთა მოდგმა და ისევ ექნებათ ხვავი და უფლის კმაყოფილება.

ასე სწამს ამ მშვენიერი წიგნის ავტორს.

მშობლიურ წიაღში დაბრუნების წყურვილით, იმედითა და მოლოდინით ცოცხლობს.

ვფიქრობ, ავტორიც გზას გაიკვლევს ოდაბადესკენ და ეს წიგნიც; ბატონ რაფიელთან ერთად იქნება დიდი დაბრუნება და ქართველები და აფხაზები ერთი დიდი, ხელთუქმნელი სინანულის ტაძრის აგებას შეუდგებიან.

ამ წიგნის ძირითადი სათქმელი ეს არის.

ამ წიგნის კიდევ ერთი მთავარი სათქმელი ეროვნული ინდიფერენტიზმია, რასაც თავად ჩახვდება დაკვირვებული მკითხველი...

**ბადრი ცირამუა**

**მურად ანჯაფარიძე, პეტრე ნაჭყებია, გურამ კაკულია, ზურაბ ჯაიანი, რეზო ცინარიძე, ომარ ეჯიბია, ნუგზარ შენგელია, დიმიტრი ჭანტურია, აკაკი პაპავა ღრმა მწუხარებას გამოვხატავთ შესანიშნავი მეგობრის, ღირსეული სოხუმელის, კეთილშობილი მამულიშვილის**

**ზურაბ გახოკიძის**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს. გამოსვენება 22 IV, 14 სთ. მის. ქ. თბილისი, იოსებიძის №66.**



ინფორმაცია

## ონიანი თავს დამნაშავედ არ სცნობს, მანაგაძე კი დაცვის ქვეშ იმყოფება

**ტარიელ ონიანმა, რომელსაც გამოძიება ადამიანის გატაცებაში სდებს ბრალს, ხოლო მედია მას პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე გავლენიან კრიმინალურ ავტორიტეტს უწოდებს, მოსკოვის ხამოვნიჩესკის სასამართლოს გასვლით სხდომაზე, რომელიც მოსკოვის საქალაქო სასამართლოში ჩატარდა, თავი ბრალდებულად არ სცნო.**

**— მე არ მჯერა, რომ ასეთი დანაშაული ბუნებაში მოხდა, — აცხადებს ონიანი. მასთან ერთად კიდევ ორმა განსასჯელმა სერგო აბუთიძემ და ალექსეი ზუბარიოვმა ასევე არ აღიარეს დანაშაული. მე დაზარალებული ვარ, მე მცემეს, წამართვეს ფული და ციხეში ჩამსვეს, — განაცხადა აბუთიძემ.**

**დაზარალებული ჯონი მანაგაძე სასამართლო დარბაზში არ იმყოფებოდა და მას პროცესის მსვლელობის აუდიოკავშირით მოსმენის საშუალება ჰქონდა. განსასჯელებმა მანაგაძის არყოფნა სასამართლო დარბაზში გააპროტესტეს, რაზეც მოსამართლემ განაცხადა, რომ მანაგაძე სახელმწიფო დაცვის ქვეშ იმყოფება და ამის გამო, იგი ჩვენებებსაც აუდიოკავშირით მისცემს.**

**სასამართლოს მიმდინარეობისას პროკურორმა სიტყვით გამოსვლის რიგითობა გამოაცხადა, რომლის მიხედვითაც პირველი სასამართლოში სიტყვით დაზარალებული გამოვა, შემდეგ მოწმეები, შემდეგ კი განსასჯელები. ეს რიგითობა ონიანმა და აბუთიძემ გააპროტესტეს და სასამართლოში სიტყვით გამოსვლა პირველებმა ითხოვეს.**

**შეგახსენებთ, რომ ტარიელ ონიანს, სერგო აბუთიძესა და ალექსეი ზუბარიოვს საქართველოს მოქალაქის ჯონი მანაგაძის გატაცება და გამოსასყიდის სახით მისგან 500 ათასი დოლარის მოთხოვნა ედებათ ბრალად.**

## ავტოკატასტროფამ სამი ქვეყნის მოქალაქის სიცოცხლე იმსხვერპლა

**აზერბაიჯანში, ტოვუზის რაიონში, ბაქო-ყაზახის ავტომაგისტრალის 420-ე კილომეტრზე მომხდარი ავტოავარიის შედეგად დაღუპული საქართველოს მოქალაქის ვინაობა ცნობილია.**

**აზერბაიჯანში საქართველოს კონსულის მინდია სანაძის განცხადებით, გარდაცვლილი თბილისში მცხოვრები 56 წლის ტამინა გამბაროვაა.**

**მისივე განმარტებით, ავარიის შედეგად საქართველოს სამი მოქალაქე — გურბამ, მაგომედ და ნადირ ოსმანოვებიც დაშავდნენ, რომლებიც ამ დროისთვის ტოვუზის რაიონის საავადმყოფოში არიან მოთავსებულნი.**

**ინციდენტი ბაქო-ყაზახის ავტომაგისტრალის 420-ე კილომეტრზე გუშინ, 07:00 საათზე მოხდა. ორი ავტობუსის შეჯახების შედეგად სულ 8 ადამიანი დაიღუპა და 12 დაშავდა. საქართველოს ერთი მოქალაქის გარდა, გარდაცვლილთაგან სამი თურქეთის და 4 აზერბაიჯანის მოქალაქეა.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## დაიჯესტი

### ჭიანჭველების „სალუტი“

**საკმარისი იყო ფოტოჟურნალისტის ტყის ჟღალი ჭიანჭველების ბუდეში ხის ტოტის ოდნავ შეყოფა, რომ შედეგად მან შექლო მათი მასობრივი თავდაცვითი რეაქციის გადაღება, რასაც ჭიანჭველმჟავის გატყორცნა ჰქვია – იგი ფოტოს ზედა ნაწილში თეთრი ლაქების სახით გამოჩნდა.**



ეს შადრევნები 3-5 სანტიმეტრის სიმაღლეს აღწევს, ისინი ანგრევს მრავალი მწერის შემოსვასა და ნერვულ სისტემას, მათ ორთქლში შეიძლება დაიხრჩონ პატარა მღრღნელებიც კი. ერთი ჭიანჭველის მიერ გამოფრქვეული მჟავის სუნი მისი თანამოძმეთათვის განგაშის ნიშანია. თუკი მტერი უშუალო სიახლოვესაა, ჭიანჭველა მას კბენს და შემდეგ ჭრილობაში უმალვე მჟავას უშვებს, რომლის ოდენობამ შეიძლება ექვს კუბურ მილილიტრს მიაღწიოს. თუმცა ამ იარაღის ყველას როდი ეშინია: ზოგიერთი ფრინველი საგანგებოდ უჩიჩხინებს ჭიანჭველების ბუდეს ნისკარტით... მჟავის შხაპის მისაღებად და ამით პარაზიტებს იშორებს.

### რა ამოძრავებს ლოდს?



**კალიფორნიაში, სიკვდილის ველად წოდებულ ადგილას მისულები უიშვიათესი მოვლენის მოწმენი ხდებიან ხოლმე:** დიდი ლოდი თავისით მოძრაობს ქვიშაზე და ღრმა კვალს ტოვებს. ზოგი მიიჩნევს, რომ ამის მიზეზია ძლიერი ქარი და სველი თიხა, ზოგი კი ფიქრობს, რომ ყველაფრის სათავეა იდუმალი, უზენაესი ძალები.

### „მცინარე ვირი“... წვეულებაზე

**ავსტრალიის ტყეებში მობინადრე ფრინველის კუკბარას „ხმა“ ფსიქიკურად შეურაცხადი კაცის უაზრო ყვირილსა და სიცილს ჰგავს. აბორიგენებმა მას „მცინარე ვირი“ შეარქვეს.**

ბოლო დროს გაირკვა, რომ ამ სახეობის ფრინველს გადაშენების საფრთხე ემუქრება. საქმე ის არის, რომ ევროპის მთელ რიგ ქვეყანაში გავრცელდა წვეულებებზე სტუმრების კუკუბარას „გალობით“ გამასპინძლება. ამიტომაა, რომ ბრაკონიერებმა, მკაცრი სასჯელის საფრთხის მიუხედავად, მასზე ნამდვილი ნადირობა გააჩაღეს.

### მილანური „რალი“





**ორ რუსეთელს ხუთიდან ოც ათას ევრომდე ჯარიმა ემუქრება იმის გამო, რომ ცოტა ხნის წინათ მათ მილანის ცენტრში...** ავტორბოლა მოაწყეს. 23 და 34 წლის ასაკის ორმა რუსმა ბიზნესმენმა ავტორბოლა გაქირავებით აღებული „ლამბორჯინი გალარდო სლაიდერით“ და „ასტონ მარტინ როუდსტერით“ გამართეს. ახლა „ავტომრბოლელები“ დაკავებულები არიან, ხოლო მართვის მოწმობები პოლიციამ ჩამოართვა.

### მსოფლიოს მთელი ფული არ ეყოფა



**ამერიკელი დალტონ ჩიზჰოლმი ცდილობს ბანკს არც მეტი, არც ნაკლები... 1784 სიქსტრილიონი დოლარი მოუგოს...** ცუდი მომსახურებისთვის. ყველაზე საყურადღებო ამ თანხაში ის არის, რომ იგი მნიშვნელოვნად ჭარბობს დედამიწაზე არსებულ მთელ მოჭრილ ფულს. კაცმა სარჩელი „ბენკ ოფ ამერიკის“ მიმართ შეიტანა მას შემდეგ, რაც მას რამდენჯერმე წარუდგინეს არასწორი ინფორმაცია თავისი ანგარიშების თაობაზე. საინტერესო ის არის, რომ თუკი მისტერ ჩიზჰოლმი თავის ბრალდების დადასტურებას ვერ შეძლებს, მოსამართლე საქმეს უბრალოდ შეწყვეტს.

## დღის კალენდარი

## 22 აპრილი

**ხსენება წმიდა მოწამე ევფსიქისა (362ძ; დისან ეპისკოპოსისა, მარიავა ხუცისა, აბდიესისა და სხვათა 270-თა სპარსთაგან წამებულთა (362-364ძ; ღირსისა მოწამისა ვადიმისა (376ძ.**



ამოდის 05.09
ჩადის 18.48



ამოდის 02.28
ჩადის 12.16

### დაიბადნენ:

**1451 – იზაბელა კასტილიელი,** ესპანეთის დედოფალი. გარდაიცვალა 1504 წელს.
**1724 – იმანუელ კანტი,** დიდი გერმანელი ფილოსოფოსი. გარდაიცვალა 1804 წელს.
**1819 – ფრიდრიხ ბოდენშტედტი,** გერმანელი მწერალი, მთარგმნელი. იმოგზაურა საქართველოში 1844 წელს და გამოაქვეყნა წიგნი „კავკასიის ხალხები“, სადაც აღწერა საქართველოს ისტორიული მოვლენები. გარდაიცვალა 1892 წელს.
**1870 – ლენინი (ვლადიმირ ულიანოვიძ,** რუსი რევოლუციონერი, პოლიტიკური მოღვაწე. გარდაიცვალა 1924 წელს.
**1920 – ზურაბ ანჩაბაძე,** ისტორიკოსი. გარდაიცვალა 1984 წელს.
**1937 – ჯეკ ნიკოლსონი,** ამერიკელი კინომსახიობი, რეჟისორი და პროდიუსერი.
**1942 – ჟანრი ლოლაშვილი,** მსახიობი, მხატვარი.

### გარდაიცვალნენ:

**1899 – იოჰან კელერი,** ესტონელი ფერმწერი, ფერწერის ეროვნული სკოლის ფუძემდებელი.
**1979 – მიხეილ მიქატაძე,** ცნობილი მოქანდაკე, მხატვარი, იაკობ ნიკოლაძის მოწაფე.
**1994 – რიჩარდ ნიქსონი,** აშშ-ს 37-ე პრეზიდენტი.

### მოვლენები:

**1370 წელი** – საფრანგეთის მეფე კარლოს V-ის დროს საფუძველი ჩაეყარა ბასტილიის ციხესიმაგრის მშენებლობას.
**1500 წელი** – პორტუგალიელმა მკვლევარმა პედრუ ალვარიშ კაბრალმა ბრაზილია აღმოაჩინა.
**1662 წელი** – ინგლისის მეფე ჩარლზ მეორემ დაამტკიცა ლონდონის სამეფო საზოგადოების წესდება.
**1834 წელი** – წმიდა ელენეს კუნძული ბრიტანეთის სამეფო კოლონიად გამოცხადდა.
**1918 წელი** – შეიქმნა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკა.
**1939 წელი** – ჯეფრი სტეფენსონმა პირველად გადაიფრინა პლანერით ლა-მანშის სრუტეზე.
**1945 წელი** – საბჭოთა ჯარები ბერლინში შევიდნენ.

**ღირსსახსოვარი დღეები:**
**დედამიწის დღე.**
**თურქეთი** – ნაციონალური სუვერენიტეტისა და ბავშვთა დღე.
**ბერმუდის კუნძულები** – წიწაკის დღე.
**კანადა** – წმინდა გიორგის დღე.

**მედიანიუსი**

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7499 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3302 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.6628 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.9520 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.3636 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1778 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2083 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1643 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5643 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +10 – +19 |
| ქუთაისი. | +15 – +26 |
| ბათუმი. | +13 – +22 |
| ზუგდიდი. | +14 – +24 |
| თელავი. | +9 – +21 |

**აუდიტი 34-84-83, 899 49-19-97**

## კადრი



**რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“**
გ. ახვლედიანის ქ. №19.
99-62-77; 899 32-85-76.

## ანეკდოტები

ისლანდიას ანდერძად დაუბარებია, ჩემი ფერფლი ევროპას გადმოაფრქვიეთო.

* * *

იმის წარმოდგენაც კი შემზარავია, რისი გაკეთება ძალუძს ისლანდიას, თუ ევროპელები დროულად არ ჩამოაჭრიან ოთხ მილიარდიან ვალს.

* * *



– ანკა, შენი ქმარი ნაღდი მექალთანეა. წუხელ თვითონ დავინახე, როგორ გამოვიდა საყვარლის სახლიდან.

– გამოვიდოდა, აბა რას იზამდა ის ოხერი, მთელი ცხოვრება იქ ხომ არ დარჩებოდა?

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრის განკარგულება (მხოლოდ სამსახურებრივი სარგებლობისთვისძ: მთავრობის წევრთა მუშაობიდან კატეგორიულად გამოირიცხოს „ტვინისმიერი შტურმის“ მეთოდი მასში ერთ-ერთი ინგრედიენტის სრული არარსებობის გამო!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.